# ტალღა

თ ფ ი ლ ი ს ი

სამშაბათი, 14 (26) ნოემბერი.

1906

წელიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

№ 23 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 23


ვიტე საკაროთ სცუდის, მუშათა დეპუტატების საბჭოს წინაშე!— უმუშევრები პეტერბურგის ქალაქის საბჭოს უღუკმაპუროთ დასტოვა.—უდანაშაულოთ ჩამოხრჩობილნი.—შიმშილობა რუსეთის სოფლებში.


30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი**: ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 1 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

„ტალღის“ რედაქცია სთხოვს საზოგადოებათ და დაწესებულებებს აგზავნონ ხოლმე რედაქციაში უწყებები თავიანთ სხდომებზე და კრებებზე დასასწრებლათ.



კვირას, 12 ნოემბერს, 12 საათზე
ტფილისში გაიხსნა
(ავათმყოფთა მიღება 13 ნოემბრიდან დაიწყება)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ტელეფონი № 481.

ავათმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ტ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულებანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულებ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იაჩნევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**სე. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშაბ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ასპისოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ბოგოსვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ვ. ი. ინაევი**—შინაგანი, ყოველ დღე 1—2 პარასკეობით 3—4 ს.

**ექ. ა. ა. მონსე.**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ტ. როზმაისკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთხშაბ., შაბათს 11—12.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვრას 12—1, პარასკ. 1—2.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. კ. მ. პივარსკი**

**ექ. კ. ი. ჩუდნოვსკი** კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ონოზკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.



კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12, ნიკოლოზის ქ. № 14.


## პარტიული დეზორგანიზაცია

ამ ჟამათ ჩვენი პარტია ხანგრძლივ კრიზისს განიცდის. გულ გრილობა ძირითად ორგანიზაციებში, არევ დარევა ორგანიზაციათა სათავეში—აი მოკლე სურათი პარტიის მდგომარეობის.

რამ გამოიწვია ეს?

17 ოქტომბრამდის პარტიაში მუშათა მხოლოდ მოწინავე ნაწილი შემოდიოდა. მუშათა მასსა პარტიის გარეშე იმყოფებოდა, თუმცა მას თანაუგრძნობდა. ინტელიგენცია და მუშათა მცირე ნაწილი—აი ბატონპატრონი პარტიის იმ ჟამათ.

17 ოქტომბრას თავისუფლებით პოლიციური კედლები, რომელიც პარტიის გარს ერტყა და მას სულს უხუთავდა, დაემხო. ის ბნელი სარდაფებიდან მზის სინათლეზე გამოვიდა და ფართო პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება. ამით ძველი ორგანიზაციის საფუძველი, შეფარდებული ბიუროკრატიულ წეს-წყობილებასთან, სავსებით მოიშალა. პარტია შეირყა. პარტიული მასსა ამხედრდა ორგანიზაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომელნიც პარტიას ბატონპატრონობდენ. რეორგანიზაცია, ძველი ორგანიზაციის ძირ-ბუდიანათ აჰოგდება—აი ბრძოლის მიზანი.

რა უნდა დაინგრეს?

რა უნდა აშენდეს?

აი თავ-სამტვრევი საკითხი. პარტიის მოწინავე ნაწილის მიზანია ორგანიზაციის გაფართოება, მასში მთელი პარტიის მოთავსება და მისი დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა. მეორე ნაწილი ამას არ ჯერდება და რევოლიუციას განაგრძობს. ყველაფერი ძირიდან, ძირითად ორგანიზაციებში და მისი მეოხებითო—აი მისი ლოზუნგი. ის ხელმძღვანელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უარყოფს და მით პარტიას ანარქიისკენ მიერეკება. სანამ ეს ბრძოლა წარმოებდა, თავისუფლების ქარმა პირი იბრუნა და სუსხიანი რეაქცია გამეფდა. ასეთ პირობებში დამთავრდა ორგანიზაციის რეორგანიზაცია.

ერთი შეხედვით ორივე მიმართულება მორიგდა. დემოკრატია ორგანიზაციაში დამყარდა. პარტიის ყველა წევრი მონაწილეობს ხელმძღვანელ ორგანიზაციათა არჩევანში და მათ შესაფერ კანტროლს უწევს. ამისდა მიუხედავათ არევ-დარევა არ ისპობა, ანარქია არ ქრება, კრიზისი წინანდებურათ გრძელდება.

რა არის ამის მიზეზი?

თავისუფლების დღეებიდან მოკიდებული პარტიას მუშათა შეუგნებელი მასსა და წვრილი ბურჟუაზია მოაწვა და მისი კედლების გარღვევას შეეცადა. პარტიამაც მათ კარები გაუღო. ამნაირათ ის იზრდება შეუგნებელი ელემენტის შემოსვლით. სანამ პარტიის ძველი ორგანიზაცია წინ მიუძღოდა, ამას არავითარი ცვლილება არ შემოქონდა. ახალი ელემენტები პარტიის ძირში არიან და მისი ავკარგის არაფერი ეკითხებათ. სანამ პარტია ოქტომბრის თავისუფლებით სარგებლობდა, მისი ხელმძღვანელობა მაინც მოწინავე ნაწილის ხელთ იყო. აქ ხელმძღვანელობა პარტიის წევრთა საერთო კრებას ეკუთვნის. პარტიულ კრებებზე ის იმარჯვებს, ვინც პარტიულ ცხოვრებას კარგათ იკვირებია, მისი ავკარგიანობა აუწონ-დაუწონია და მის ინტერესთა დაცვაში გამოწაფულა. აქ მასსა უკან იხევს და მუშათა მოწინავე ნაწილი წინ დგება. სულ სხვაა ამჟამათ. რეაქციონურ ხანაში ფართო ორგანიზაციული ერთეულების მოწყობა ყოვლათ მოუხერხებელია· ძირითადი ორგანიზაციები ძალაუნებურათ მცირე-რიცხოვანია, 15—50 კაცი—აი მათ წევრთა ჩვეულებრივი რიცხვი. ამით აზრთა შეჯახ-შემოჯახება ორგანიზაციის ფარგლებში კლებულობს და ეს ძირს უთხრის მოწინავე მუშათა გავლენას.

ყველა ძირითადი ორგანიზაცია საარჩევნო უფლებით თანასწორია. და აი მასსა, რომელიც ძირითად ორგანიზაციებში ბატონობს, ხელმძღვანელ ორგანიზაციებს შეუგნებელი ელემენტებით ავსებს და მით პარტიულ მოქმედებას ფრთებს უკვეცს.

შეცვლილმა პოლიტიკურმა და პარტიულმა ცხოვრებამ ხელმძღვანელობა აართვა ინტელიგენციას და მით წინ წასწია პარტია, თან ხელმძღვანელობა გამოსტაცა მოწინავე მუშებს და ორგანიზაციაში მასსა გაბატონა და მით უკან მიაქანებს. ასეთია მდგომარეობა.

ამას ზედ ერთვის ერთი მიდრეკილება, რომელმაც პარტიაში იჩინა თავი. მასსას პარტიული ხელმძღვანელობა არ შეუძლია და თან ეშინია ხელმძღვანელთა გაბატონების. ამიტომ მთელი მისი მოქმედება ხელმძღვანელი ორგანიზაციების უფლებათა შევიწროების გარშემო ტრიალებს. ყველაფერი ძირიდან, ძირს მაღლიდან კითხვის გადაწყვეტაო—აი რა აწერია მის დროშას. ის უარყოფს კომიტეტისა და რაიონების უფლებას და ყველაფერი ძირითად ორგანიზაციებში წყდებოდესო—ლაპარაკობს. ამით ის ძირს უთხრის დემოკრატიულ ცენტრალიზმს და პარტიას ანარქიისკენ მიერეკება.

რა იხსნის პარტიას ასეთი მდგომარეობისაგან?

სანამ მუშათა პარტია არ გამაგრებულა, გარეშე ან შეუგნებელი ელემენტის შემოსვლა მისთვის სახიფათოა. შეუგნებელი მუშათა მასსა პარტიას ეტანება არა პარტიული კითხვების გადასაჭრელათ, არამედ პროფესიის ინტერესების დასაცველათ. პარტია მისთვის პროფესიონალური კავშირია. ამიტომ პროფესიონალური ინტერესების პარტიულ ინტერესებზე წინ დაყენება—აი შედეგი პარტიაში მისი შემოსვლის. ეს პარტიის პროფესიონალურ კავშირათ გადაქცევაა. სოციალდემოკრატიის ვალია ასეთ მისწრაფებებს გადაჭრით წინააღუდგეს და კარი დაუხშოს პარტიაში შემოსასვლელათ მუშათა შეუგნებელ ელემენტსა და წვრილ ბურჟუაზიას, მანამ ისინი სოციალდემოკრატიულ მოძღვრებას შეითვისებდენ და მუშათა პარტიის ინტერესებს თავისათ გაიხდიდენ.

პარტიაში უმოქმედობის მოსასპობათ და მით თავიდან კრიზისის ასაცილებლათ საჭიროა ორგანიზაციაში მოწინავე მუშათა ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. ეს სავსებით მიღწეულ იქნება პოლიტიკური თავისუფლების დამყარებით, როცა პარტიაში ფართო ძირითადი ორგანიზაციების დაარსება და მით აზრთა შეჯახ-შემოჯახება შესაძლებელი გახდება. ამჟამათ ჩვენი ვალია შეძლების დაგვარათ ძირითადი ორგანიზაციების გაფართოება და ხშირათ მათი საერთო კრებების მოწყობა. ეს მოწინავე მუშებისთვის საშუალებაა უფრო ფართო პარტიული პოლიტიკა აწარმოვონ და მით ხელმძღვანელი ორგანიზაციების სულის ჩამდგმელნი შეიქნენ.

როგორც ზევით ვთქვით მუშათა მასსის ორგანიზაციაში გაბატონებამ ძირი გამოუთხარა დემოკრატიულ ცენტრალიზმს. მასსა ირჩევს თავის წარმომადგენელთ, მარა მეორე დღესვე მათ უნდობლობას უცხადებს. ჯერ არავის დაუნახავს არჩეულთა შრომის ნაყოფი, არავის გამოუცდია ისინი საქმეში. მარა საკმარისია აგირჩიონ, რომ მაშინვე, როგორც გაბატონებულის წინააღმდეგ აგიტაციას შეუდგენ და ჩამოგდებას შეეცადონ. ეს წარმოდგება იმ შეხედულებიდან, რომ ხელმძღვანელი ორგანიზაცია ბატონობს და თავისი სურვილისამებრ განაგებს პარტიას. მართალია თუ არა ეს აზრი?

რა არის დემოკრატიული ცენტრალიზმი?

ხელმძღვანელთა არჩევა და მათი სრულს კანტროლობის ქვეშ დაყენება—აი დემოკრატიზმი. აქ თავდება ამრჩეველთა უფლება და იწყება უფლება ხელმძღვანელი ორგანიზაციის. რომ ორგანიზაცია მოძრავი იყოს და შეეძლოს პირველ საჭიროებისათანავე ფეხზე დააყენოს მთელი პარტია, მას უფლება აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას და ისიც განაგებს ყველა პარტიულ საქმეებს, მხოლოდ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი კითხვის გადაჭრა, როგორც მაგ. მასსის რევოლიუციონური გამოსვლა, მთელ პარტიას ეკითხება და მისი გადაწყვეტილებაა საჭირო. ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კითხვა საჩქარო არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამისთანა საკითხების გადაჭრაც ხელმძღვანელი ორგანიზაციის საქმეა. აი რა არის დემოკრატიული ცენტრალიზმი. და ასეთ საფუძველზეა აგებული სოციალდემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია ყველა ქვეყნისა. სხვანაირათ არც შეიძლება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლება პარტიულ ორგანიზაციებს თვისი დანიშნულება აასრულოს —პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას ხელმძღვანელობა გაუწიოს.

ჩვენი მასსა ამას უარყოფს და მით პარტიაში არევ-დარევას იწვევს.

სოციალდემოკრატიის და უპირველესათ მოწინავე მუშათა ვალია ამას შესაფერი ანგარიში გაუწიონ და ხელმძღვანელ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობა შეუნარჩუნონ. აი რა მოსპობს არსებულ კრიზისს და პარტიულ განვითარებას შესაფერ კალაპოტში ჩააყენებს.

## ახალი ამბები

✦ **ს. ზუბალაშვილის სახელობაზე სახალხო სახლის** შესახებ რამდენიმე საკითხის განსახილველათ 12 ნოემბერს ქალაქის თავის თავმჯდომარეობით სხდომა ქონდა კომისიას. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა პროექტი სახალხო სახლის მართვა გამგეობის წესდებისა, ამავე სხდომაზე კომისიამ დაამტკიცა სახალხო სახლის ხარჯთაღრიცხვა, ყოველ წლობით სახალხო სახლის შესანახათ მოუნდება 30,000 მან; ხოლო ერთდროულათ 15,000 მან. კომისიის გამოანგარიშებით სახალხო სახლს ყოველ წლობით შემოსავალი ექნება 23,000 მან. ასე რომ, დანარჩენი ხარჯი, 7000 მან. ქალაქმა უნდა იკისროს. კომისიამ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოსთან, რომ ქალაქმა მიიღოს სახალხო სახლი, განკარგულებაში და მის გამგეთ ამოირჩიოს კომისია.

✦ ამ უკანასკნელ დღეებში თფილისის ყველა უბნებში **გახშირდა ჩხრეკა და დაპატიმრება.** პარასკევს, 10 ნოემბერს, ღამით ელისაბედის ქუჩაზე დააპატიმრეს 5 კაცი, რომელთა ვინაობა ვერ გავიგეთ. ამავე ღამეს დააპატიმრეს მეორეთ გაზ. „სიმართლის“ რედაქტორათ ნამყოფი ვ. დარჩიაშვილი, კ. თავართქილაძე, რ. გაბაშვილი, ნინო ყიფიანი, ჩვენი გაზეთის რეპორტიორი მიხ. კინწურაშვილი, ქრისტეფორე აბულაძე, ევა მელიქოვი, ლ. ნათაძე, ნინო კალანდარიშვილი, დევდარიანის ქალი, ვანო მოხევე, დიმიტრი ათაბეკოვი და სხვანი, რომელთა ვინაობა ჯერ ვერ შევიტყეთ. ჩხრეკა ქალაქში გრძელდება. პოლიცია ჯარის თანხლებით მოულოდნელათ ალყას არტყამს რომელიმე უბანს და სჩხრეკს სახლებს.

✦ საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ გაჩხრიკა გაზეთ „ტალღის“ რედაქცია. წაიღეს ყველა ქაღალდები და ხელთნაწერები და თვითონ სადგომი დაბეჭდა. რედაქციაში დაიჭირეს რედაქციის მოსამსახურე მგელაძე და უმიზეზოთ სცემეს.

✦ კვირას, 12 ნოემბერს, დილიდანვე ნაშუადღევის 2 საათამდე ერევნის მოედნიდან **სასახლის ქუჩა შეკრული იყო** ჯარით და ხალხს არ უშვებდენ. ამას მიზეზი, როგორც გავიგეთ, ის იყო, რომ სამხედრო შტაბს კავკასიის სამხედრო გუბერნატორების მონაწილეობით სხდომა ქონდათ რაღაც საყურადღებო საქმეების განსახილველათ.

✦ ამას წინეთ მეტეხის ციხიდან გაიქცა 25 პატიმარი. პატიმრებს საპყრობილეს სტამბის კანტორიდან კედელი გაენგრიან და იქიდან გაპარულიყვენ. ეს გარემოება გახდა მიზეზათ, რომ დღევანდლამდე **სტამბა მთავრობის განკარგულებით დაუკეტიათ**. როგორც შევიტყეთ სტამბის სრულიად გაუქმებას აპირებენ, რადგანაც მისი არსებობა თურმე ცუდ გავლენას ახდენს პატიმრებზე.

✦ 12 ნოემბერს ღამით თფილისში გარდაიცვალა ასტრახანის სომეხთა ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი არისტაკის სედრაგიანი.

✦ თფილისის ქალაქის გამგეობა 17 ნოემბრიდან შეუდგება მომავალ 1907 წელს ქალაქის შემოსავალ გასავლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

✦ თფილისის სომეხთა ნერსესიან სემინარიაში სემინარიის საპედაგოგო საბჭოს გადაწყვეტილებით ამა მიმდინარე სამოსწავლო წლიდან **ქართული ენის სწავლება** შემოიღეს. ქართულ ენას ასწავლიან მე-7 კლასში. მასწავლებლათ მიიწვიეს მასწ. ფირუმიანი.

✦ თფილისის შეძლებულ მცხოვრებს ს. მ. ნუნუფაროვს გადაუწყვეტია **სამი სტიპენდიანტი** იყოლიოს თავის ხარჯზე **ავლაბრის პროგიმნაზიაში.** ნუნუფაროვი სტიპენდიანტებს თავის სიცოცხლეში იყოლიებს. პროგიმნაზიის საპედაგოგო საბჭომ ქველმოქმედს ნუნუფაროვს მადლობა გამოუცხადა.

✦ 12 ნოემბერს დიდი ვანქის ქუჩაზე მრავალ ექიმების თანადასწრებით აკურთხეს სამხედრო ექიმებისაგან მოწყობილი სამკურნალო სახლი. ავათმყოფებს შემწეობის აღმოჩენისთვის გადახდებათ თითო მისვლაზე 20 კაპ.

✦ თფილისის ღარიბთა ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობის თავშესაფარში გადაწყვეტილია ჯერჯერობით მიღებულ იქნეს 30 შეუძლებელი, რისთვისაც ყოველ წლობით გადადებულია 10,000 მან. თავშესაფარში დღეს 18 კაცის მეტი არ არის მიღებული, თავისუფალია კიდევ 12 ადგილი. გამგე კომისიამ 5 კაცისაგან მიიღო მისაღები თხოვნები და განაგრძობს მსურველებისაგან განცხადებების მიღებას.

✦ რადგანაც თფილისის ელექტრონის ვაგონებზე ქალაქის ქუჩებში მშობლებისაგან უყურადღებოთ მიტოვებული ბავშვები ხშირათ ახტებიან ვაგონებს და ამ ცელქობის დროს ბევრი უბედური შემთხვევა ხდება. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ბელგიის უსახელო საზოგადოებას მიმართოს მოწოდებით თფილისის მცხოვრებთ, ყური უგდონ ახალგაზდობას და უპატრონოთ ნუ უშვებენ ქუჩაში, რასაც შედეგათ ბევრი უბედური შემთხვევა ყვება ხოლმე.

## პეტერბურგის უმუშევარ მუშათა მოწოდება

პეტერბურგის საბჭომ, მიუხედავათ წარმოუდგენელი გაჭირვებისა, რომელშიაც იმყოფება დღეს საზოგადოთ მთელი რუსეთის პროლეტარიატი და კერძოთ პეტერბურგის მუშა ხალხი, უარი უთხრა უმუშევრათ დარჩენილთ დახმარებაზე და უმისოთაც უსახსროდ დარჩენილი მუშა ხალხი სრულიად უმწეოთ დასტოვა.

პეტერბურგის გაზეთებში საბჭოს ასეთი მოქმედების შესახებ შემდეგ მოწოდებას ვკითხულობთ.

მოქალაქენო! 3 ნოემბერს ქალაქ პეტერბურგის საბჭომ დაფარული კენჭის ყრით, 42 ხმით წინააღმდეგ 34 ხმისა, დაადგინა: შეწყდეს უმუშევრათ დარჩენილთა დახმარება, მოისპოს სასადილოები, სადაც უმუშევართ და მათ ოჯახებს ეძლეოდათ საჭმელი. აღნიშნულ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მათთვის, ვინც ულუკმაპუროთ დარჩა ამ გადაწყვეტილების გამო, არამედ პეტერბურგის ყველა მცხოვრებლებისათვის, ამიტომაც უყურადღებოთ არ უნდა დარჩეს იგი.

აგერ ერთი თვეა, რაც პეტერბურგის ქალაქის საბჭო ყოველ ღონეს ხმარობს რამენაირათ თავიდან აიცილოს უმუშევრათ დარჩენილთა დახმარების საქმე. 4 ოქტომბერს პეტერბურგის მუშებმა დეპუტაცია გაუგზავნეს ქალაქის საბჭოს და მოითხო-


... მარქსის სახ. საქ. სს... სახელმწიფო რესპუბ... ბიბლიოთეკა

ვეს, რომ არამც და არამც არ შეწყვიტელიყო უმუშევართა დახმარება. საბჭოს შეეშინდა დეპუტაციის მ-ლების, პოლიციის ამოეფარა ზურგს უკან და ამ სიფარს უკან, დაფარული კენჭის ყრით 400 ათასი მანეთის მაგიერ 30 ათასი მანეთი გადადვა უმუშევრებისათვის. 23 ოქტომბერს, როცა ეს ფული გამოილია, როცა სასადილოები დახურეს და როდესაც გაზეთებში ცნობები დაიბეჭდა ქუჩაში ხალხი სიმშილით იხოცებაო, დეპუტაციამ ხელმეორეთ მიმართა საბჭოს. საბჭომ მოუსმინა დეპუტაციას; არც ერთ ხმოსანს დეპუტაციის მოთხოვნაზე უარი არ უთქვამს. მაგრამ მიდგა თუ არა საქმე კენჭის ყრაზე, საბჭოს შავმა რაზმელებმა იმ წამსვე კენჭი მოითხოვეს; ამასობაში „ზელენეტი“ ხმოსნები საბჭოს დარბაზიდან გავიდნენ; დარბაზში დარჩენილების ხმოსნებს რიცხვი საკმაო აღარ იყო, რომ კითხვა გადაწყვეტილიყო. გავიდა ერთი კვირა, რომლის განმავლობაში უკიდურესი სიმშილი და გაჭირვება მძვინვარებდა უმუშევართა შორის, სანამ საბჭო შეიკრიბებოდა და კითხვას გადასწყვეტდა.

ამ ხნის განმავლობაში მოხდა პირველი რიგის არჩევნებიც. 99 მდიდარმა საბჭოში ხმოსნებათ აირჩიეს 27 თავიანთი ინტერესების წარმომადგენელი ხმოსანი. გახარებულებმა „საარჩევნო გამარჯვებით“, საბჭოს შავმა რაზმმა გადასწყვიტა ერთხელ და სამუდამოთ თავიდან მოეცილებია უმუშევართა საკითხი.

მოხდა ხელახალი კენჭის ყრა და 42 მაძღრების წარმომადგენლებმა წინაღმდეგ 34 სიმშილით სიკვდილი მიუსაჯეს მუშებს.

ამ რიგათ ქალაქმა სწორედ მაშინ შესწყვიტა დახმარება, როცა ამის საჭიროება უფრო ძლიერია, ვინემ წინეთ. ზამთარი მძვინვარებს, სამუშევარის შოვნა დღითიდღე ძნელდება, ქარხნებიდან მუშებს ითხოვენ, სოფლებში სიმშილობაა, წასასვლელი გზა არსაით ჩანს.

იცის ქალაქის საბჭომ თუ რა ჩაიდინა მან თავისი დადგენილებით? აქვს თუ არა მას უფლება ისე განაგოს და მოიხმაროს ქალაქის სიმდიდრე და ქონება, რომელიც პეტერბურგის მუშების შრომითაა შექმნილი?

გაითვალისწინეს თუ 42 კმაყოფილმა ის უბედურება და გაჭირვება, შიმშილ-წყურვილი, თავის მოკვლა ულუკმობის გამო, რომელიც მოელის ამის შემდეგ მუშა ხალხს? მისცეს თუ არა მათ ანგარიში თავის თავს, თუ საით კენ ერეკებიან იგინი უმუშევრათ დარჩენილთ?

არა, მათ ეს კითხვები არ აინტერესებს: იგინი დღეს დღესასწაულობენ თავიანთ გამარჯვებას პირველი რიგის არჩევნებში.

მოქალაქენო, აქ მარტო უმუშევართა ინტერესებში არ არის საქმე. ამ დადგენილებით გადაილახა მთელი ქალაქის მცხოვრებლების ინტერესები, ამიტომაც თქვენ პასუხი უნდა მოსთხოვოთ ქალაქის საბჭოს.

კითხვა უმუშევრათ დარჩენილთა შესახებ ხელახლა აღიძვრის ქალაქის საბჭოში, რადგან იგინი სიმშილით სიკვდილს მოლოდინში გულხელდაკრეფილი ვერ იქნებიან.

მოქალაქენო, ამცნეთ თქვენი ზიზღი და გულისწყრომა ქალაქის საბჭოს. და როდესაც ხელმეორეთ აღიძვრის იგივე მწვავე კითხვა, ხმა მაღლა მოსთხოვეთ ამ შავრაზმელ ბრბოს, რომ მათ უარი ჰყონ სრულიად უადგილო ეკონომია, რომელსაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ყოველნაირი ავათმყოფობა და გაჭირვება და არ გაბედონ თქვენი ქონება თავიანთ ნებისა და სურვილისამებრ გაფლანგონ.

უმუშევრათ დარჩენილთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

### გრაფი ვიტე და მუშათა დეპუტატების საბჭო

გრაფ ვიტემ მუშათა დეპუტატების საბჭოს გასამართლების შემდეგ დაბეჭდა გაზეთებში წერილი, რომელშიაც აცხადებდა, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ ქონია მუშათა დეპუტატების საბჭოსთან, რომ მან მხოლოდ იცოდა მათი არსებობა და მათ წინააღმდეგ პოლიტიკური მოსაზრებით არ იღებდა ზომებს და დროს უცდიდა. ამაზე მუშათა დეპუტატების საბჭო სწერს პასუხს, სადაც სხვათა შორის ამბობენ შემდეგს: „გრაფ ვიტე კადნიერით აცხადებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოსთან არავითარი დამოკიდებულება, არც ოფიციალური და არც კერძო არ ქონია;“ სასამართლოში კი ჩვენ ვამტკიცეთ, რომ გ. ვიტემ ორჯერ მიიღო საბჭოს ოფიციალური დეპუტაცია, რომ მან, მათი მოხსენებით, განკარგულება მოახდინა საბჭოს სამი დატუსაღებული წევრის განთავისუფლების შესახებ, რომ მან მისცა მეორე დეპუტაციას წერილი გრადონაჩალნიკთან. ვიტე კი თამამათ ამბობს: მე არავითარი დამოკიდებულება არ მქონია საბჭოსთან არც ოფიციალური და არც კერძო. რა უნდა ვთქვათ ამის შესახებ? ბევრი არაფერი. ჩვენ, ყოფილი წევრები მუშ. დეპ. საბჭოსი, რომელთა სასამართლოსაგან უთუოდ ველო უფლება გვაქვს ახლაღა, ვაცხადებთ მთელი ქვეყნის წინაშე: „გრაფი ვიტე ამბობს ტყუილს“!

ჩვენ არ ვიცით, „თავის დასაცველათ“ დასჭირდა მას, თუ სხვა მიზეზით, მარა ის უარყოფს იმას, რაც იყო, ის ამბობს ტყუილს.

კრებამ, რომელიც ასი კაცისაგან შესდგებოდა, დაადგინა დეპუტაციის გაგზავნა გრაფ ვიტესთან, რომ გამოეშვებინებინათ საბჭოს დატუსაღებული წევრები. ეს დეპუტაცია, სამი პირისაგან შემდგარი, ბრუნდება იმავე კრებაზე და დაწვრილებით მოხსენებას უდგენს კრებას. მალე ბრუნდებიან საბჭოს ის წევრებიც, რომლებიც გრ. ვიტეს განკარგულებით გაანთავისუფლეს. ყველა ეს შეტანილია ოქმში. ამ ოქმის შავები, როგორც ნივთიერი საბუთები გამოქვეყნებულ იქნენ სასამართლოში.

მეორეთ დეპუტაცია იგზავნება ვიტესთან სამგლოვიარო პროცესიის გამართვის შესახებ. დეპუტაციამ ვიტეს განუცხადა: „მუშათა დეპუტატების საბჭო ასაფლავებს მოკლულ ამხანაგებს. წესიერებას ის თვითონ დაიცავს. პოლიცია და ჯარი საჭირო არ არის“. გრაფი ვიტე დეპუტაციის თანდასწრებით ტელეფონით ელაპარაკება ტრეპოვს, შემდეგ აძლევს დეპუტატებს წერილს გრადონაჩალნიკთან. აღმასრულებელი კომიტეტი უარყოფს ყოველნაირ მოლაპარაკებას გრადონაჩალნიკთან და გაუხსნელ წერილს ვიტეს უკანვე უბრუნებს.

ყველა ეს ჩანს ოქმების შავებიდან. უფრო მეტიც, ყველაფერი გამოცხადებული იყო გაზეთებში. დეპუტაციის წევრები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ წერილს, ჩვენ შორის არიან. ჩვენ არ ვიცით, როგორ შეიძლება კიდევ დავამტკიცოთ ის ფაქტები, რომლებსაც თამამათ უარყოფს გრ. ვიტე. ვიტეს პრემიერობის დროს ის ბევრჯერ უარყოფდა იმ „შემდგარ“ ცნობებს, რომლებსაც ავრცელებდნენ მის შესახებ, მაგრამ იმას არასოდეს არ უარუყვია ცნობები მის საბჭოსთან დამოკიდებულების შესახებ.

დასასრულ ამ დამოკიდებულებაზე პირდაპირ ამბობს საბრალმდებლო აქტი ჩვენი საქმის შესახებ. გრაფ ვიტეს თუ მართლმსაჯულება აინტერესებდა, თავისი წერილი პროცესის დაწყებამდის უნდა გამოექვეყნებია. მაგრამ გრ. ვიტემ დაუცადა პროცესის დასრულებას. ეს მისი საქმეა. ჩვენ კი გამოვთქვამთ ჩვენ ღრმა რწმენას, რომ თუ გინდ ზემოთ მოყვანილი ფაქტები კადნიერით არ დამტკიცებულიყო სასამართლოში, ჩვენთვის საკმარისი იყო ჩვენი აზრი დაგვეპირდაპირებია ვიტეს აზრისთვის, რომ ჩვენთვის დაეჯერებია არა მარტო იმ მასსას, რომელიც ჩვენ გვიცნობს და თანაგვიგრძნობს, არამედ იმათაც კი, რომლებიც ვიტეს უკან დგანან და იცნობენ მას..

## პროვინცია.

**რაჭა-ლეჩხუმი.** სამხედრო სველე სასამართლოებმა და მათმა საგმირო საქმეებმა კიდევ გამოაცოცხლა რაჭველ-ლეჩხუმელი რეაქციონერები, რომლებიც დარწმუნდენ რა, რომ თვითმპყრობელობის მძლეთა-მძლეობამ კვლავ ფრთა გაშალა, დაერაზმა მათ სულის ამოსახდელათ, ვისაც ოდესმე ცოდვილი ენა მის (თვითმპყრობელობის) წინააღმდეგ დაუძრავს. ლეჩხუმში შარშან ოქტომბერში ხალხის მიერ განწმენდილი მაზრის სამმართველო ხელახლა აავსეს „დანოსებით“. „დანოსჩიკებს“ მხარი დაუჭირა დროებით გარევოლიუციონერებულმა ა. თ. ბაქრაძემაც. და რადგან ლეჩხუმში მაზრის უფროსის ადგილი ცარიელი იყო და მის დაჭერას მოულოდა, ისეთი მაგარი აზრი გამოსთქვა, რომ ხუთ დღეში ქუთაისის გუბერნიიდან გაძევებს ?ეთილათ ლეჩხუმში მოსამსახურე ახალგაზრდა, დადგა დაშავური რ გაუწყობა! მაღალი ადგილების დაჭერის სურვილს ბევრი დადოსთანების სიცოცხლე შეუწირავს.

დღე ამბავია ლეჩხუმის ახალი მაზრის უფროსი ხაუსიევი. მან ჩამოარა სვანეთი და მთელათ ლეჩხუმი, მაგრამ მკვრი ზომებისათვის არსად არ მიუმართავს გარდა ერთის ჭყვიშის საზოგადოებისა. ეს საზოგადოება ზოგ-ზოგების წარმოდგენით ლეჩხუმში, მოძრაობის ბუდე უნდა იყოს და ამიტომ ზოგ ზოგების წადილით აქ საშინელათ იცემეს ებრაელს ელია მოძღვრიშვილს და გლეხებს: ვლადიმერ იაშვილს, კოსტა რატიაშვილს და გიორგი ჭოხონელიძეს. აქვე დაატუსაღეს ივანე სალუქვაძე, დიმიტრი ნცვლიძე, ერმილე ყიფიანი. დაატუსაღეს იმიტომ, რომ პოლიციას გაქცეული შვილი ვერ მოუყვანა, ლუარსაბ ყიფიანი. გლეხები ამბობენ: „სამართალი ასეთი უნდა! 17 ოქტომბრის შემდეგ კიდევ მამას შვილის მაგიერ ატყევებენ“. ჭყვიშის საზოგადოებაში მაზრის უფროსი ცხვირით მიიწვია თავადმა გრამიტონ ფარსადანის ძე გელოვანმა, რომლის უხვმა მასპინძლობამაც სტუმრები ისე გაართო, რომ კვარიანათ შეზარხოშდენ და შეზარხოშებამ კი ზოგ-ზოგები სხვანაირ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა: მაგრამ აქ მეტს ვეღარას გიტყვი, მხოლოდ ჭყვიშის საზოგადოების გლეხობას გიტყობინებ, რომ თუ დღეს მათი შვილები, ცოლი და ცოლები ნამუს აუხდელია, ამაზედ უნდა მადლობელი იყვნენ ისევ მაზრის უფროსის...

ძგირაულ უკვდავებათ ჭყვიშელებს გრამიტონის დარბაისლური სტუმრობ! შარშანაც მის სახლში უზომოთ სცემეს და დღე დამის განმავლობაში ხელფეხ შეკრული და უსმელ-უჭმელი დააგდეს ახლა დატუსაღებული ივანე სალუქვაძე.

არა ნაკლები ამბებია რაჭაში. აქ დარაჯთა ურიადნიკმა მიხეილ ბაქრაძემ დაგმო მაზრის უფროსისა და ბოქაულების „სუსტი და ფრთხილი მოქმედება“ და რადგან სამუდამოთ ერთი იგდო რა საამისო უფლება, მთელს რაჭაში დათარეშობს დარაჯთა რაზმით. ამ ვაჟბატონმა უმიზეზოთ, უფროსობის ბრძანების გარეშე დაატუსაღა ამბროლაურში ამხ. დანიელ რაზმაძე, რომელმაც ციხიდან გამოპარვა მოახერხა, მაგრამ ჯალათი ბაქრაძე აჭირას (ლეჩხუმის მაზრა) დაუხვდა და ხელახლა დაატუსაღა. ხმები დადის, ვითომც რაზმაძის მეორეთ დაჭერაში ბაქრაძეს აგენტობა გაუწევს თომა კალმა ჭრებალოდან (რაჭა-ლეჩხუმის საზღვარი), მაგრამ ვინ ხოთ რამდენათ მართალი დარჩება. ამავე მიხეილ ბაქრაძემ დაატუსაღა სალომეში ნესტორ ბენდუქიძე და იაკობ ფრუიძე, რომლებსაც კიდევაც სცემეს. ბენდუქიძის და ფრუიძის შესახებ გიდიც ლეჩხუმელი უსახელო კორესპონდენტი „მეგობარ-ში“ სწერს, რომ ისინი თითქო მღვ. ფოფხაძის მოსაკლავათ მადიოდნენ. ეს მტკნარი სიცრუეა, რაშიაც დარწმუნებული უნდა იყოს თვით მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე და ამიტომ მას უარის ასეთი უსაფუძვლო ხმები, კორესპონდენტს კი ურჩევ უფრო მოექცეს აღ. ბაქრაძის მიერ მიწოდებ ზებს. ვაჟბატონი ისევ ურიადნიკ ბა თავისი რაზმით ნ მიიყვან ჭრებალოდ დები: რაზმაძე, ფრუიძე და ბენდუქიძე სადგამი. ჭრებალოდან ქუთაისისაკენ დარაჯებს უნდა წაეყვანათ, რომლებიც შედარებით ცოტა იყვნენ ბაქრაძის რაზმ რომელთაც ბაქრაძემ ტუსაღები საშინელ კებათ დაუსხა. ამიტომ ლეჩხუმის სამივე ტუსაღი შეკრეს და რომ ძალა წაართმევთ, მახრჩობლე სცემეს. მიხეილ ბაქრაძის მოქმედება! მას კარგათ რაჭა-ლეჩხუმის ახალგაზრდობა. შარშან მბერში, რომელსაც ხალხმა კრიშა ყაფია კვდილით დასაჯა, ჩვენი მიხაც დაიჭირა მსხვერპლი განწ ჩენი დურგალს, მაგრამ მ ებმა იხსნეს სიკვდილისაგან. ხომ ხედავ ლო, რა კვართ დაათვისა ჯალათმა სახუ

**საჩ. სანდარა.** მატარებლის მიმოს ამასთან ძიდიც რომ დროს არ ართმევს სადგურის უფროსი ბ-ნი ჯ-შა მგონი მოსამსახურეს გადახვედა სათითოთ. როცა შედარებათ მცირე მოცლა აქვს, არ დარჩენია უცემი. ამ წინაზე ბ-ნმა სცემა რკინის გზის მეისრეს მხოლოდ იმა რომ ამ უკანასკნელს 5 წუთი დააგვიანდა დღეს სცემა ერთ მუშას, რომელიც მ მუშაობდა და ვაგონის ჩაჟენება უნდოდა. გადით სადგურის უფროსს ბევრი დაპარ უყვარს, რასაკვირველია, თუ არ იგინებ სწორება მუშტით იცის ხოლმე. ალბათ იყოს მიზეზი, რომ ყველას აჭირვებს, სხვებშიაც ბევრში სდებენ ბრალს უფროსს.

ი. გადიდი

## მუშათა მორის.

**ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბ** თითქმის არ მოიპოება ისეთი ქარხანა რიკა, რომ იქ მომუშავეთა მდგომარეობა ტით თუ ბევრათ არ გაუმჯობესებულიყოს კან ჯამაგირი გაიდიდეს, ზოგან სამუშაო შეამცირეს, ზოგან სხვა და სხვა უფ („როგორც არის მაგალითად ამხანაგები დები-დათხოვა) მოიპოვეს და სხვა. ჩვენ ფაბრიკის ფაბრიკის მუშებმაც მოი მცირე შედავათება, მაგრამ ძველი მუშების ხებით დამის ხელადან წაგვაილდეს ძველ მუშებს (რომლებსაც 17—18 წ სახურიათ ფაბრიკაში) ჯამაგირიც საკმა და სხვა უპირატესობაც. ამიტომ ისინი თვის წინააღმდეგობას აცხადებენ, როდესაც აბაზიანი მუშა ცდილობს ხელფასი მოიმ თუმცა მუშების უმეტესობა ქალებია, მათ მუშებით თითქო არც კი სთვლიან.

---

# ფელეტონი

—:—

## ნაციონალური რევოლიუცია და დღევანდელი ჩვენი საკითხები

(თარგმანი „ს.-დ“. იდან)

(დასასრული *).

შეიძლება გვითხრან: ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რაღა შეგვრჩა დღეს იქიდან, რაც მოგვცა რევოლიუციამ: სადღაა მუშათა დეპუტატების საბჭო, დუმა, წითელი ფლოტი, რევოლიუციონური სიმაგრეები? ყოვლივე ამის მაგიერ დღეს მთელ რუსეთში მძვინვარებს საველე-სამხედრო სასამართლოები, სახრჩობელები, სიკვდილით დასჯა. მართალია, მაგრამ განა ეს პირველი მაგალითია ისტორიაში? განა ველურ რეაქციას სხვა დროს არ გაუნადგურებია რევოლიუციის ნაყოფი? მაგრამ არსად და არასოდეს რეაქციას დიდი ხნით არ შეუჩერებია რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობა. უეჭველია სტოლიპინის სამხედრო-საველე სასამართლოების სამეფოც ისე ხანმოკლეა, როგორც დურნოვოს დამსჯელი ექსპედიციები და ტრეპოვის სამხედრო პატრონების სამეფო.

აბა ერთი რევოლიუციონურმა მოძრაობამ გადალახოს ზღუდე, რომლითაც რეაქციამ მას გზა გადაუღობა და მაშინ ვნახავთ, როგორის სისწრაფით შექმნის რევოლიუცია ბრძოლის ახალ ფორმებს და შესაფერ წესრიგს; როგორ ხელათ წარმოშობს იგი მთელი ორი წლის გამოცდილებაზე დამყარებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს; დაუყოვნებლივ თავს იჩენენ ახალი საშუალებები, რომელნიც გვეიოდვილებენ სავსებით ვისარგებლოთ ორი წლის განმავლობაში შექმნილი პოლიტიკური შეგნებით და რევოლიუციაც წინანდელთან შედარებით მეტი ძალით შესდგება უმაღლეს საფეხურზე.

ორი წლის მოქალაქობრივმა ომმა ჩვენში ნაციონალური რევოლიუცია შექმნა. ეს უდიდესმნიშვნელოვანესი ფაქტია. ამ ფაქტს ვერ მოსპობს ვერც სახრჩობელა, ვერც ტყვია-წამალი. ახლა ვკითხოთ, რა ცვლილება განიცადა ამ ხნის განმავლობაში სოციალდემოკრატიამ? გაიზარდა თუ არა იგი იმდენათვე, რამდენათაც გაიზარდა რევოლიუცია? უზრუნველ ჰყო თუ არა მან პროლეტარიატისთვის ნაციონალურ რევოლიუციის ახალ პირობებში ის ადგილი, რომელიც ეკუთვნის ამ ურევოლიუციონერეს კლასს ყველა კლასთა შორის?

მეორე პარტიული კრების შემდეგ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების პირობებში ძირითადი ცვლილება მოხდა. ჩვენ პარტიას კი დღესაც ისე, როგორც მეორე პარტიული კრების შემდეგ, ლენინის ფრაქციონული ბრძოლა ეგრედ-წოდებულ ბოლშევიკებსა და ეგრედ-წოდებულ მენშევიკებს შორის. დღესაც ორივე ფრაქცია ისე თანაბარნი არიან ძალებით, როგორც მეორე პარტიული კრების შემდეგ. ერთის შეხედვით ეს გარემოება ფრიად საკვირველია. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ფრაქციონული განხეთქილება განვითარდა იმ ორი სხვადასხვაგვარი შეხედულების ნიადაგზე, რომელიც არსებობდა ჩვენ შორის რუსეთის რევოლიუციის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ თუ ჩვენი პარტია ცხოვრებას არ ჩამორჩენია, თუ ის წვრილმან დავას და ვიწრო წრეებს შორის კინკლაობას არ შეფარებია, თუ ორივე ფრაქცია ენერგიულად ცდილობდა ცხოვრებაში თავისი შეხედულების გატარებას, რევოლიუციის თვითეულ ნაბიჯს, უეჭველია, უნდა განემტკიცებია იმ ფრაქციის მოღვაწეობა, რომელმაც უკეთ შეიგნო რევოლიუციის დედა-აზრი და მისი მსვლელობის მიმდინარეობა, ხოლო იმ ფრაქციის კაპანწყვეტა კი, რომელმაც ვერ მიაღწია ამ შეგნებამდი, არარაობათ უნდა ექცია. ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენი პარტია სექტათ არ ქცეულა, რევოლიუციას დღემდის ან ერთი და ან მეორე ფრაქციის სასარგებლოთ უნდა გადაეჭრა მათ შორის არსებული დავა.

ეგრედ წოდებული ბოლშევიკების ძირითად შეხედულებამ ფესვები მოიდგა იმ პირობებში, რომელნიც არსებობდენ რევოლიუციის პირველ ხანაში, როცა იგი, რევოლიუცია, ჯერ კიდევ ფარულად მომქმედ ინტელიგენტების წრეებს იყო ამოფარებული და ერთად ერთ კლასს, რომელიც რევოლიუციონურ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა, წარმოადგენდა პროლეტარიატის მოწინავე რაზმები, საიდუმლო, შეთქმულების სახით ბრძოლა და პოლიტიკური განმარტოება, პროლეტარიატის რევოლიუციონური მარტოდ-მარტოობა, აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა სოციალდემოკრატიის შორის ბოლშევიკური მიმდინარეობა თავისი იაკობინური ილიუზიებით. „უმრავლესობა“, რომელიც ერთ დროს სჭარბობდა პარტიაში, არსებითად პარტიის კონსერვატიული ნაწილია. მისი ბლანკიზმი რევოლიუციის იმ ხანის გამომხატველია, როცა რევოლიუცია ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო. ეგრედ წოდებულმა მენშევიკურმა მიმდინარეობამ შემდეგ იჩინა თავი, დაიწყო თანდათან ზრდა. ამ მიმდინარეობის ფესვების საზრდოს იძლეოდა უფრო მეტად რუსეთის რევოლიუციის განვითარების ტენდენცია, მისი მომავალი, ვინემ წარსული. ინტელიგენციის ფარული რევოლიუციონური ბრძოლა, პროლეტარიატის მოწინავე რაზმებზე დაყრდნობილი აუცილებლად უნდა გარდაქმნილიყო საყოველთაო ნაციონალურ ბურჟუაზიულ რევოლიუციათ და სწორედ ამ გარდაქმნას უწინდებოდა მენშევიკური მიმდინარეობა. მენშევიკები პოლშევიკებივით უკან კი არ იცქირებოდენ; მათ მომავლისკენ ქონდათ თვალი მიპყრობილი, მათ უარყვეს ის უტოპიური იდეა, ვითომც რევოლიუციის გეგემონია ერთი საიდუმლო ცენტრის ხელში უნდა ყოფილიყო და შეეცადენ, რომ პროლეტარიატს დანარჩენ კლასებთან ერთად რაც შეიძლება მეტი გავლენა მოეპოვებია რევოლიუციის მსვლელობაზე. ამიტომაც მენშევიზმი იყო პროგრესიული მიმდინარეობა.

ასეთი განსხვავების გამო მოსალოდნელი იყო, რომ რამდენათ საიდუმლო რევოლიუციონური ბრძოლა ადგილს უთმობდა ნაციონალურ რევოლიუციას, იმდენათ უნდა გაძლიერებულ ყო მენშევიკების გავლენა პარტიაში, ბოლშევიკები კი უნდა გარდაქმნილიყვენ ძველი მოდის რევოლიუციონერების ბაიყუშთა მკირეოდენ გროვათ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. წინანდებურათ დღესაც ორივე ფრაქციის თანაბარი გავლენა აქვთ პარტიაში, მაგრამ ეს ასე მოხდა არა იმიტომ, რომ ფრაქციულ უთანხმოებას პრაქტიკის ზედგავლენით ცვლილება არ განეცადოს ან და ფრაქციები მარტო ტეორეტიულ დავას სჯერდებოდენ. სრულიადაც არა, ბოლშევიკები განსაცდელისგან თავის დაცვის ინსტიქტმა დაიხსნა. ყოველ კრიტიკული მომენტის დროს ბოლშევიკები უკან იხევდენ, თავიანთ პრინციპს შორდებოდენ და ახალი პირობების თანხმად მოქმედებდენ, თუ გნებავთ ცხადათ დაინახოთ, თუ რამდენათ აიძულა რევოლიუციის განვითარებამ ჩვენი პარტიის ძველი მიმდინარეობა ახალ პირობებს შეგუებოდა, მოიგონეთ მისი პირვანდელი ლოზუნგები, რომელნიც ვითომდა შეურყევლად უნდა დარჩენილიყვენ თვით აბსოლიუტიზმის დამხობამდე.

ბოლშევიკები, თავდაპირველ პარტიის შეთქმულების ნიადაგზე, სამხედრო დისციპლინის საფუძველზე აშენებენ. აპსოლიუტიზმის სრულ დახშამდი დემოკრატიზმი პარტიაში შეუძლებლათ მიაჩნ რადგანაც, მათის აზრით, ეს იქნებოდა დემოკრატიზმი, არამედ დამღუპველი მაში დემოკრატიზმით. ეს ცრუ შეხედ ბა შეუბრალებლათ შემუსრა პროლეტა ტის გათვითცნობიერების ზრდამ და რე ლიუციის მსვლელობამ; დღეს ამ შე ლებას აღარავინ იცავს.

ერთ დროს ბოლშევიკების ბელა იმედი ქონდათ, რომ კონსპირატიული სოციალდემოკრატიული ცენტრი მაგრა იჭერდა ხელში რევოლიუციის ყველა განიზაციულ ძაფებს; მათ ეგონათ, „აზნაურობის წარმომადგენელი“ ლიბე ლებიც კი ამ ცენტრის სურვილზე დაიწ ბდენ ცეკვა-ხტუნვას. სხვადასხვა ოპო ციონური და რევოლიუციონური მ რეობის ზრდამ და დიფერენციაციამ, სობრივი წინააღმდეგობის შეუჩერებ განვითარებამ ხალხის იმ ნაწილებში, მელნიც მონაწილეობას ღებულობდენ მათ ავისუფლებელ მოძრაობაში, სავსე გაფანტა ეს ილიუზია. ბოლშევიკების თმა იდეამ არა ერთი ცვლილება განი და და დღეს ამ იდეას პირვანდელი სახ აშკარათ, აღარავინ იცავს.

ბოლშევიკები აქ მეტათ მარტივი შ დულებით ხელმძღვანელობდენ; მათ ნათ, რომ ჩვენი რევოლიუცია „ერთი კვრით“ მოხდებოდა. ორი წლის მოქა ქობრივმა ომმა თუ სავსებით ვერ აი ნა მათ ხელი ასეთ ბავშურ შეხედულ დიდი რევოლიუციის შესახებ, საკ მაინც შესცვალა.

თავიანთი უდიდესი ზელადის ბოლშევიკები გვარწმუნებდენ, ვითომც ვოლიუციონურ ცენტრს შეეძლო წინ წინვე დანიშნულ დროსთვის მოეწყ და მოეხდინა საყოველთაო შეიარაღებ აჯანყება; მათის აზრით შეიარაღებული აჯ ყების გამარჯვებისათვის ნახევრათ

*) იხ. გაზ. „ტალღა“ № 21.

ლობაანი მოპყრობა და სიტყვა-პასუხი აქ ძლიერ იშვიათი მოვლენა არის.

7 ამ თვეს, მუშების ზედამხედველმა ა. ხუდადოვმა კარგა დაზათაანათ მაბეჯგა ქ ნ გუდევანოვისა. მუშების მიერ არჩეული კომისია, რომელსაც დაგალებული აქვს ასეთ უწესოებას თვალყური ადევნოს, არსად ჩანს და არაფერ ღონისძიებას არ ხმარობს, თითქო აქ არაფერი მომხდარიყოს, რადგან ასეთი „უბრალო" გასამართლება დამის ჩვეულებათ გადაიქცა ჩვენს ფაბრიკაში. თუ ჩვენ არ დავიცავით ჩვენი უფლება, რასაკვირველია, ამ თავხედობას ბოლო არ მოეღება.

მუშათაგანი

## წერილი ქუთაისის ციხიდან.

ქუთაისის ციხეს მეტეხის ციხის შემდეგ, თითქმის პირველი ადგილი უჭირავს კავკასიაში, როგორც თავისი სიდიდით, აგრეთვე პატიმართა რიცხვითაც. პატიმართა რიცხვი დღეს დღეობით 600-მდე და თითქმის ყოველ დღე მატულობს. პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი ორას ორმოცდაათამდის ადის, მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი პირები ისეთებია მონათლული „პოლიტიკურების" სახელით, რომლებიც პირველი მტრები იყვნენ ხალხის მოძრაობისა თავის აგაზაკურ ცარცვა-გლეჯით და რეაქციის შემდეგ თავს ზარს სცემდენ რეაქციისაგან წელში გატეხილ სოფლის გლეხობას. ასეთი პირების „პოლიტიკური" სახელით მონათვლა მთავრობას აგენტების აზრია, რითაც სურს აუხვიოს თვალები ხალხს და დაუმტკიცოს, რომ „პოლიტიკურებში" ჯერ ბევრი ურევია და სურს ყოველ პარტიას და აგრეთვე მის წევრებს წაურეცხელი ჩირქი მოსცხოს.

პატიმართა უმეტეს რიცხვს ციხეში შეადგენს შორაპნის მაზრის მცხოვრებნი, რაც აიხსნება შორაპნის მაზრის ხელიგანთა ორგანიზაციის მთავრობისადმი ერთგული მოქმედებით.

აქ შეხვდებით შორაპნელ 70—80 წლის მოხუცს გლეხებს, რამდენიმე თვით დაპატიმრებულთ და როცა შეეკითხებით მათ, თუ რამ აიძულა მთავრობა ამ ხნის ადამიანების დაპატიმრება, მათგან მიიღებთ პასუხს: „შვილი იყო, ბატონო, ჩემი რაზმში, ის ველარ ნახეს და მის მაგიერ მე ვარ დაჭერილი"-ო; ზოგის ბიძები, ზოგის ძმა ძმის მაგიერ არის დაჭერილი და სხვა... აა ბატონო ყველგან ცნობილი ბოქაული მახარაძის ტაქტიკა და მოსაზრება.

„ჯოჯოხეთს ერთი მეკუზალი აკლდაო", სწორედ ზედ გამოჭრილია ეს ანდაზა ბ. მანსვეტოვზე, შორაპნის მაზრის უფროსზე. ვინ იფიქრებდა იმას, თუ ბ. მანსვეტოვი ყოველ ბ. მახარაძის მიერ არა ადამიანურ მოქმედებას კვერს დაუკრავდა და ყოველ მის მიერ წამოყენებულ პროექტებს წმინდათა-წმინდათ ჩასთვლიდა. მანსვეტოვი სულ სხვა გაიძვერულ ტაქტიკას დაადგა. მაგალითად: შეხედეთ ვინმე სოფლის დაჭერილს, რომელსაც 5—6 დღის განმავლობაში ცივ ქვეყნებისაკენ უწყვეტს გადასახლებას და რომ შეეკითხოთ, გიპასუხებთ: „ეს სულ ნამესტნიკის და გუბერნატორის ბრალით, ვინაიდან უსახელო „დენოსები" მისდის მათ-ო" და სხვა, როდესაც არავითარ ნამესტნიკს და გუბერნატორს უმანსვეტოვოთ კი არაფერი არ შეუძლია.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს", ბ. მანსვეტოვო!.. ხალხს თვალს ვერ აუხვევთ. იყო დრო, როდესაც, ეგრეთ მოქმედებებს დიდი გასავალი ჰქონდა, დღეს სხვა დროა, ხალხს არა დაემალება-რა. დადგება დღე და სამაგიეროს მოგეთხოვებათ, მაგრამ გვიანღა იქნება ნეკზე კბენა...

შემდეგ არ შემიძლია მკითხველებს არ გაუზიარო პირადათ ჩემი და აგრეთვე ამხანაგების უმეტესობის აზრი ქუთათურ ეგრეთ წოდებულ ზოგიერთ პრისაჟნი-ადვოკატ-აბლაკატებზე. სწორეთ მათთვის გაიმარჯვა რეაქციამ, მათთვის დადგა გაზაფხული და ბედნიერათ გაუთენდათ აღდგომა. ას და ორას მანეთზე ნაკლებს არ კადრულობენ, რომ იკისრონ რომელიმე კანცელარიაში „სპრავკების" მოხდენა. ზოგიერთები ფულს რომ გაურიგდებიან ტუსაღებსა და მათ მშობლებ-პატრონებს, ნახევარს წინდაწინ ართმევენ იმ პირობით, რომ გადასახლებას აგაცილებთო, მაგრამ ხუთი-ექვსი თვის შემდეგ კიდევ ასახლებენ და ფულიც იკარგება. ამ გვარათ სულიდან ხორცამდის გატყავებული პატიმარი მიემგზავრება ჩრდილოეთის ცივ ქვეყნებისაკენ.

სად არის სინდისი ასეთი მოქმედების შემდეგ! მაგრამ არ დაივიწყოთ ბ. აბლაკატებო, რომ ერთს დროს წარსდგებით სამჯავროს წინაშე და ვნახოთ რით იმართლებთ თავს.

შორაპნელი—ციხეში.

## „ტყის ძმები" ბალტიის მხარეში.

„ტოვარიშჩ"-იდან.

დასასრული. (იხ. „ტალღა" № 22).

რადგან ტყეს მეტი უშიშარი თავშესაფარი ვერ უშოვიათ, ტყის ძმება საშინლათ ადმასდებიან; ისინიც კი, რომელნიც წინათ, ლეგალურათ არსებობის დროს, მშვიდ და მყუდრო ცხოვრებას ეწეოდნენ, ტყეში შეურიგებელ მტრებათ ხდებიან დღევანდელი წესწყობილებისა. ისინი თავიანთ მოქმედებას პრინციპებით ხსნიან, მათში მომეტებული წილი ს.-დ. პარტიას ემხრობა და თითქმის ყველანი თავიანთ თავს სოციალისტებათ და რევოლიუციონერებათ სთვლიან. ისინი ბეჭდავენ ჰექტოგრაფზე და მიმეოგრაფზე რევოლიუციონურ ნაწარმოებს და მცხოვრებლებში ავრცელებენ. ისინივე ავრცელებენ ბლომათ ვიბორგის მოწოდებას. არიგებენ აგრეთვე დაბეჭდილ რევოლიუციონურ ლიტერატურას, რომელსაც ბალტიის უხანისრევოლიუციონურ პარტიებიდან შოულობენ. მაინც კიდევ, ტყის ძმები თავის უმთავრეს მიზნათ „სახალხო შურისძიებას" სთვლიან. შურისძიება გამცემლებს, რომელნიც დამსჯელ რაზმებს მიუძღოდნენ და დასახვრეტ მსხვერპლებზე უთითებდნენ, შურისძიება მეტის-მეტათ დაუნდობელ პოლიციელებს ან ჯარს... ტყის ძმების მოქმედების ეს მხარე ძალიან ცოტა ფაქტებით არის აღნიშნული რუსულ გაზეთებში—როგორც ურიადნიკის მოკვლა, პასტორზე თავდასხმა დაბეზღებისთვის, ბარონის გასკაპეცება მრავალი სოფლის გოგოების გაფუჭებისთვის და სხვა. ფაქტების მომეტებული წილი კი დაფარული რჩება. მათ გაზეთები ვერ ამჟღავნებენ, რადგან აქ-ურ უმაღლეს მთავრობას არაფრათ ეჭაშნიკება, რომ პეტერბურგამდის მივიდეს ბალტიის მხარის ნამდვილი მდგომარეობა.

თავის გამოსაკვებათ და შესაიარაღებლათ, აგრეთვე ახლათ შემდგარ ჯგუფების დასახმარებლათ, ტყის ძმები სახელმწიფო საქონელს იტაცებენ და თუ მარჯვე დროს ვერ შოულობენ სახელმწიფო საქონლის მოსატაცებლათ, მაშინ ბარონების, პასტორების, მეგახშეების ავლა-დიდებას ეცემიან; მაგრამ ისინი სრულიად წინააღმდეგ არიან წვრილ მესაკუთრეთა გაძარცვისა და თავის მოვალეობათა სთვლიან იმ ქურდების დასჯას, რომელნიც წვრილ მესაკუთრეს სცარცვავენ. ბალტიის მხარის ს.-დ. პარტიის უკანასკნელ კონფერენციაზე მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც ყოველნაირ „ექსპროპრიაციას" ჰგმობს. ფაქტიურათ აქედან დაიწყო განხეთქილება ტყის ძმებთან, რომელნიც, თუ რეზოლიუციას დაუჯერეს, შიმშილით უნდა ამოწყდენ, ან დამსჯელ რაზმელებს დანებდენ. მცხოვრებლებს ტყიურ ძმებისა მეტადრე ის მოსწონთ, რომ უკანასკნელნი საშინლათ ებრძვიან სილოთეს. ძმებში სილოთე მკაცრათ იდევნება, ისინი უბრძანებენ მიკიტნებს დახურონ სამიკიტნოები. მიკიტნებიც შურისძიების შიშით, ყურს უგდებენ, კეტავენ სამიკიტნოებს და მირბიან ქალაქებში. მაგრამ ტყის ძმების რისხვას აცდენილი მიკიტნები ხშირათ ახლა დამსჯელ რაზმელების მეხრეჭეშა ვარდებიან; დამსჯელი რაზმები მკაცრათ სდევნიან ყველას, ვინც ტყის ძმების ბრძანებას ასრულებს.

დამსჯელ რაზმების ამნაირი ბრძოლა ტყის ძმებთან სრულიადაც არ ასუსტებს უკანასკნელების ძალას. პირიქით, უფრო ხელს უწყობს ამათ გამრავლებას. ორ წყალ შუა ჩავარდნილი მშვიდი მცხოვრებნი ბოლოს და ბოლოს სხვა გზას ვერ ხედავენ და თვითონაც ტყეში მირბიან და ძმებს უერთდებიან. აი, სამაგალითო ტელეგრამმა რიგიდგან 23 სექტემბრის რიცხვით: რევოლიუციონერებმა ძალით დააკეტვინეს მიკიტანს დუქანი მესელოუში. გენერალ-გუბერნატორმა იმ ალაგას ეგზეკუცია გაგზავნა დამნაშავეების დასასჯელათ, მაგრამ რაზმის მოსვლისათანავე აღმოჩნდა, რომ რევოლიუციონერები უგზო-უკვლოთ დამალულან. რაზმის უფროსის ბრძანებით დაიჭირეს ერთი გლეხი და სხვების დასაშინებლათ 200 როზგი დაჰკრეს. რაზმის უფროსი მცხოვრებლებს ემუქრებოდა: ყველას დაგხვრეტავთ, თუ აგიტატორებს არ გასთქვამთო („ბ. ვ." ხაზგასმული ჩვენია). რაზმი გააგზავნა „დამნაშავეების დასასჯელათ", ამის მაგიერ კი „სხვების დასაშინებლათ" განგებ უდანაშაულო კაცი დასაჯეს 200 როზგით. ზედაც მუქარა დაუოლეს: „ყველას დაგხვრეტავთო". რაღა დარჩენიათ, რომ ამისთანა სამართლის ტყეში არ გაქცენ?!

ან მეორე ტელეგრამმა ავიღოთ, სექტემბრის 22 რიცხვით: დამსჯელ რაზმის უფროსმა, რომელიც ალაგ ლეზარნს (კურლიანდიის გუბერნიაში) აწვა, ბრძანება გასცა „ვოლოსტის" კრება შეეყარათ; კრებაზე მოვიდნენ ყველა მცხოვრებნი, 15 წელზე უხნესნი. დამსჯელ რაზმის უფროსმა შეატყობინა ამათ: თუ ვინიცობაა მათი „ვოლოსტის" არე-მარეში ბოროტ-გამზრახველნი დაეცემიან სტრაჟნიკებს ან სამსახურის პირებს, ყოველთვის დაიხვრიტება რამდენიმე გლეხი „კენჭის ყრითო" („ბ. ვ.").

ასე რომ, გლეხები „კენჭის ყრით" დაიხვრიტებიან იმიტომ, რომ პოლიციას არ ძალუძს აიცდინოს გაშმაგებული ხალხის თავდასხმა, რომლებიც ტყეში ცხოვრობენ. თუ პოლიციას არ შესწევს ამდენი ძალა, მაშ გლეხებმა რაღა ქნან?

მშვიდობიან მცხოვრების უბედურობა ორკეცდება კიდევ იმათ, რომ ტყის ძმებს გარდა, რომელთანაც ხანდახან მაინც შეიძლება მორიგება, ამ მხარეში მოქმედებენ უბრალო ქურდებიც და ყაჩაღებიც. ესენიც თავის თავს სოციალისტებს და რევოლიუციონერებს უწოდებენ, რომ უფრო ადვილათ ინავარდონ. მათ წინააღმდეგ ტყის ძმებიც იბრძვიან, დაუნდობლათ სწყვეტენ მათ, რადგან უკანასკნელნი საშინლათ არცხვენენ ტყის ძმებს. და აი, თუ ამისთანა ყაჩაღები გლეხების უდიდესი მტერნი, თავს დაესხმიან სტრაჟნიკს რევოლვერის წასართმევათ, გლეხები დაიხვრიტებიან „კენჭის ყრით"!!!

დ. ს.

# რუსეთის ამბები

**სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის მოწოდება.** სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის ამართლებს შარშანდელ ბოიკოტის ტაქტიკას, მაგრამ წელს კი დაბეჯითებით მოუწოდებს გლეხებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. სიეზდი ავალებს არჩეულებს მოითხოვონ შემდეგი: მთელი მიწა—სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო და აგრეთვე მებატონეების,—ჩამორთმეულ უნდა იქნას მშრომელ ხალხზე გადასაცემათ; სათათბიროს და სხვა დაწესებულებების არჩევნები უნდა მოხდეს პირდაპირი თანასწორი, ფარული და საყოველთაო კენჭის ყრით; რუსეთის ხალხს უთუოდ უნდა მიეცეს ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა; მინისტრები პასუხის მგებელნი უნდა იყვნენ ხალხის წინაშე და დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ, თუ დუმა მათ უნდობლობას გამოუცხადებს; არც ერთი გადასახადი და არც ერთი კანონი არ უნდა იქნას მიღებული, და აგრეთვე ერთი კაპეიკიც არ უნდა დაიხარჯოს დუმის ნება დაურთველათ; ყველა თავისუფლებისა და მიწისთვის მებრძოლნი დაუყოვნებლივ უნდა იქნას განთავისუფლებულნი.

ბოლოს სიეზდი არჩევს სენატის განმარტებას და ურჩევს მცხოვრებლებს: „მოქალაქენო—გლეხებო! მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში და აირჩიეთ დუმაში წარსაგზავნელათ პატიოსანი, გამბედავი და მედგარი პირებით".

**უდანაშაულოთა სიკვდილით დასჯა.** მთელ ვარშავაზე შემძრწუნებელი გავლენა იქონია სკოვრონსკის და კუტოლსკის სიკვდილით დასჯამ, რომელიც სასამართლოს შეცდომა გამოდგა. ახლა კიდევ მეორე, უფრო გულშემატკივარი შეცდომა ჩაუდენია სასამართლოს. საქმე იმაშია, რომ ვარშავის საოლქო სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მენდელსონ შპიტნიკს, იანკელ პოზნერს, ანდრია სტახოვიჩს და სტეფანე ბაკოვსკის მხოლოდ 20 წლის კატორღა. ამათ ბრალდებოდათ 29 მაისს ელექტრონის ქუჩაზე ბოქაულის კოვალევსკის და გოროდოვოს ბარანოვსკის მოკვლა.

სასამართლოს ასეთი განაჩენის შესახებ პოლონეთის და ლიტვის სოციალდემოკრატიულმა ორგანომ თავის საჩქარო დამატებაში განაცხადა, რომ ზემოხსენებული მკვლელობა ჩაიდინა ამ პარტიის ორმა წევრმა, რომლებიც შემდეგში გამორიცხულ იქმნენ პარტიიდან ექსპროპრიატორობისათვის, რის შემდეგაც ისინი ანარხისტების პარტიას მიეკედლენ. ერთი მათგანი მოხელ ბაგნიცკი ივნისში იქნა მოკლული, მეორე კი საზღვარ გარეთ იმყოფებაო; ორგანო დასძენს, რომ პოლშის და ლიტვის ს.-დ. კომიტეტი ენერგიულათ ეძებს ამ რაზმელს და თავის მხრით ყოველ საშუალებას იხმარს რომ მას აღიარებინოს სასამართლოს წინაშე თავის ნამოქმედარი და მით უმანკო პირთა სიცოცხლე დაახსნევინოს.

**მოსკოვში** 10,000 ცალი სარჩევნო ფურცლებში, რომლებიც დარიგებულ იქნა ცენზების ჩასაწერათ და შესამოწმებლათ, აგენტებს დღემდის მარტო 3,000 ცალი შეუსწორებაა და დაუბრუნებია გამგეობისათვის.

**სარატოვში** სამაზრო საერობო გამგეობის ცნობით დასრულებული საარჩევნო სიებიდან ჩანს, რომ ამომრჩეველთა რიცხვი ეხლანდელ არჩევნებში 7000 შემცირებულა და მარტო 1,500 კაცს ეძლევა მთელ მაზრაში საარჩევნო უფლებათ.

**თავის დროზე ჯარისთვის სურსათის მიწოდება.** „ნოვ. ვრ." სწერს, რომ ამ უკანასკნელ დროს ხარბინში თითქმის ყოველ დღე მიდიან სათბურებით გავსილი ვაგონები. ეს ტანთ-საცმელი გაუგზავნეს მომქმედ ჯარს ორი წლის წინეთ, როცა ის მდ. შახეზე იდგა, მაგრამ დღემდის ვაგონები სადღაც უჩინრათ დაეხეტებოდნენ. საქმის გამოსაძიებლათ გენერალი გუბერი დაუნიშნავთ, რადგან იმის დროს ის

---

საკმაო იყო, თუ აგენტებს რიგიანათ დაუკავშირებდით ერთი-მეორეს და ერთ-დროულათ გავავრცელებდით მოწოდების ფურცლებს. დღეს ძნელათ მოიძებნება ჩვენ პარტიაში ისეთი წევრი, რომელსაც სიცილი არ მოგვარის ასეთმა გულუბრყვილო, ვიწრო წრეების ფარგლებში დაბადებულმა შეხედულებამ. ბოლშევიკებს წარმოედგინათ, რომ რევოლიუციის გადამწყვეტი ფაქტორი სოციალდემოკრატიული ორგანიზაციებია. ამის მიხედვით იძლეოდენ იგინი რევოლიუციის განსაზღვრულ მარშრუტს.

ჯერ ძლევამოსილი აჯანყება, შემდეგ დროებითი მთავრობა და დამფუძნებელი კრება. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბოლშევიკები გვიმტკიცებდენ, რომ, სანამ რევოლიუცია წარმატებაშია, სანამ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ განვიცდით 47 წლის და არა 49 წლის ხანას, მანამდის ყოვლად შეუძლებელია აღნიშნულ მარშრუტს ავცილდეთ; ასეთ პირობებში ყოველგვარი წარმომადგენლობითი დაწესებულება, მოწოდებული მეფის მიერ, მხოლოდ შეაფერხებს რევოლიუციას, რადგან ეს საუკეთესო ნიადაგი იქნება მეფისა და ბურჟუაზიის მორიგებისათვის, ამგვარ პირობების დროს მონაწილეობის მიღება არჩევნებში ყოვლად მიუტევებელია, გაიძახოდენ ისინი. დუმის ისტორიის ცდამ მწარეთ დასცინა ამ გეგმას და სამუდამოთ გააბათილა იგი. ახლა ეტყობა ბოლშევიკები ჩუმჩუმათ სტოვებენ ამ პოზიციას.

რევოლიუცია კარგი მასწავლებელია და ჩვენი პარტიის მარჯვენა ფრთაც ნელ-ნელა, ტლანქათ, სრულიად წინააღმდეგ თავისი პრინციპებისა, ეგუება ახალ პირობებს, ის იძულებულია თავისი მოქმედება შეუხამოს ახალ პირობებს, რომელნიც მას ვერც გაუთვალისწინებია და ვერც დაუფასებია; ამიტომაც ის მოქმედებს გაუბედავათ, ორპოფათ, დაგვიანებით და ბრმაცით მისდევს ცხოვრებას. ამგვარი უცაბედი მოქმედებით იცავს იგი თავის ყოფას და თავის გავლენას პარტიაზე. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბოლშევიკების გავლენა კონსერვატიული და შემაფერხებელია, რომ, მეორე მხრით, თვით მენშევიკების საკმაო ნაწილიც ჯერ კიდევ შეპყრობილია იმ ცრუ შეხედულებით და ჩვეულებით, რომელიც მარხია რევოლიუციის იმ ხანაში, როცა რევოლიუციონური მოძრაობა ჯერ კიდევ ბნელ სარდაფში იყო მომწყვდეული, რის გამოც მენშევიკების აღნიშნული ნაწილი იძულებულია ყოველგვარ კომპრომისებს შეურიგდეს, ჩვენთვის გაუგებარი აღარ იქნება, თუ რატომ ისეთი ნელი ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი პარტიის ზრდა-განვითარება.

თუ ჩვენ არ გვინდა სირაქლემას პოლიტიკას მივმართოთ, თუ ჩვენ არ გვსურს სილაში დავმალოთ თავი, გულახდილათ უნდა ვთქვათ: რევოლიუცია იზრდება, სოციალდემოკრატიის განვითარება კი შეუმჩნევლათ უკან რჩება. რევოლიუციონურმა ბრძოლამ ნაციონალური რევოლიუციის მწვერვალამდე მიაღწია და მიაღწია იმიტომ, რომ მას მიეზიდებოდა თავისი მკერდით განსაკუთრებით პროლეტარიატი; მიუხედავათ ამისა ჩვენ ვერ შევძელით და ვერ მოვახერხეთ პროლეტარიატისთვის უზრუნველ გვეყო საკმაო გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ბედ-იღბალზე.

ასურათებს რა რუსეთის რევოლიუციის მიმდინარეობას, ბოლშევიკების ახალი გაზეთი „პროლეტარი", ამბობს: ჩვეულებრივ ჩვენში ლიბერალიზმის გაზაფხულის ადგილს იჭერდა პროლეტარიატის გამოლაშქრება, რომელიც სწყვეტდა ხოლმე იმას, რაზედაც ლიბერალები ყბედობდენ. სვიატოპოლკ-მირსკის დროს ავანსცენაზე ლიბერალები ხმაურობდენ; შემდეგ დადგა 9 იანვარი. იწყეს მუშაობა, დახვრეტა. აქ ლიბერალები ხელ-ახლა გამოდიან ავანსცენაზე; აწყობენ ზემსტველთა კრებებს, გზავნიან მეფესთან დეპუტაციებს. შემდეგ გამოდის ისევ პროლეტარიატი; ოქტომბრის გაფიცვა იძლევა კონსტიტუციონურ მანიფესტს. დეკემბრის აჯანყების შემდეგ, რომელიც სისხლის მორევში ჩაახრჩეს, დგება დუმის ხანა და პოლიტიკური ჰეგემონია ისევ ლიბერალების—კადეტების ხელში გადადის. დღეს ჩვენ ახალი ბრძოლის წინაშე ვდგევართ. ყოველთვის „რევოლიუციის მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე ადის, პროლეტარიატი კი გარევანი შეხედულებით დამარცხებას განიცდის". ასეთნაირათ როლების განაწილება ჩვენ რევოლიუციაში ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, როგორც ჩანს, დიდათ აკმაყოფილებს მოწინავე წერილის ავტორს. და მართლაც, განა სასიამოვნო და გასახარელი არ არის ჩვენთვის, პროლეტარიატის პატივისმცემელთათვის, როცა ჰხედავ, რომ პროლეტარიატს მებრძოლის დიადი როლი ერგო, ბურჟუაზიას კი—უქმი ყბედობის! მაგრამ წერილის ავტორი რომ მის მიერ დახატულ სურათს ჩაკვირვებოდა, როგორც სოციალდემოკრატი და არა სილამაზის მოტრფიალე, ის უნდა შეკითხებოდა თავის თავს: რა იყო მიზეზი, რომ პროლეტარიატის ყოველი გამოლაშქრების და გადამწყვეტი ბრძოლის შემდეგ ჰეგემონია მაინც და მაინც ბურჟუაზიის ხელში გადადიოდა? ნუ თუ ეს ცხადათ არ ამტკიცებს, რომ პროლეტარიატს ცეცხლიდან წაბლი ბურჟუაზიისთვის ამოუკრეფია? ნუ თუ აქედან ცხადათ არ ჩანს, რომ პროლეტარიატს კარგი სამსახური გაუწევია ბურჟუაზიული რევოლიუციისათვის, მაგრამ ვერც თავისი და ვერც ხალხის მასსის ინტერესებისათვის ვერ უსარგებლია ამ რევოლიუციით? ნუ თუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, მიუხედავათ თავგანწირული ბრძოლისა მას ვერ მოუპოვებია და ვერ მიუსაკუთრებია ის ფერი პოლიტიკური გავლენა საყოველთაო ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე? აი მწვავე კითხვები, რომლებსაც გადაწყვეტაზეცაა დამოკიდებული არა რევოლიუციის, არამედ სოციალდემოკრატიის ბედი. აი რით უნდა ისაზღვრებოდეს ჩვენი საკითხები.

მაშ რა უნდა ვაკეთოთ დღეს? ბოლშევიკები გვიპასუხებენ: უპირველესათ ყოვლისა საჭიროა სავანგებო პარტიული კრებაო. პარტიულ კრებას ბოლშევიკები ისე უყურებენ, როგორც ჯადოს: გაუპირდებათ თუ არა, იმ წამსვე პარტიულ კრებას ჩაფრინდებიან. პარტიის კონსერვატიული ნაწილი ჩვეულებრივათ იმას ცდილობს, რომ გავლენა დაიმკვიდროს მექანიკური საშუალებით; ისევე ითქმის ბოლშევიკებზედაც, მხოლოდ იმ დამატებით, რომ ეს გავლენა ამაგრებს და აძლიერებს ჩვენ პარტიულ ჩამორჩენილობას.

ჩვენ, რასაკვირველია, არ გვწამს ის ცდა, რომელსაც მიზნათ აქვს „ორმაგი ან სამმაგი ნასკვებით" შეაკავშიროს ჯერ კიდევ მოუწყობელი და მოზარდი პოლიტიკური პარტია. პირიქით, ჩვენი უმთავრესი მიზანი იმაშია, რომ როგორმე თავი დავახწიოთ რუტინას, რომელიც თან ახლავს სარდაფებში, ვიწრო წრეებში მოქმედებას; ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ თანდათან განვავითაროთ ბრძოლის ტაქტიკური მეთოდი და წეს-რიგი იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩვენი ძირითადი პრინციპები და რამდენათ ვრცელი და დიდ შინაარსიანი საყოველთაო ნაციონალური რევოლიუცია.

მაშ რა ვქნათ? უპირველესათ ყოვლისა უნდა შემოვიკრიბოთ პროლეტარიატი და გამოვიყვანოთ იგი იმ ორგანიზაციული შეუძლებელი მდგომარეობისაგან, რომელშიაც მოაქცია იგი პოლიტიკურმა რეაქციამ. დღემდის პროლეტარიატი ორგანიზაციულათ ეწყობა ხოლმე უცებ სამხედრო გამოლაშქრების დროს და სწორეთ ისე, როგორც ამას მოითხოვდა მხოლოდ ასეთი გამოლაშქრება; გაივლიდა თუ არა ასეთი მომენტი, ჩვენი ორგანიზაციებიც, რომელნიც აერთიანებს ხოლმე დანარჩენ მასსას, ირღვევა და უგზო-უკვლოთ ქრება. სოციალდემოკრატია ვერ შეურიგდა საქმის ასეთ მდგომარეობას, რადგან ასეთი მდგომარეობა ცხადათ ამტკიცებს, რომ პროლეტარიატი ბურჟუაზიული რევოლიუციის იარაღათ გამხდარა და ამ რევოლიუციის გამარჯვებას იგი თავისი დამარცხების ფასათ ყიდულობს; ყოველ მის გამოლაშქრებას დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას თან მოჰყვება ხოლმე ლიბერალური ბურჟუაზიის უცილობელი მეთაურობა.

დიახ, პროლეტარიატი უნდა შემოკრბეს, მაგრამ რა ნიადაგზე და რომელი საქმის გარშემო? თუ ჩვენთვის რევოლიუციის გაკვეთილებს ამაოთ არ ჩაუვლია, ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადაჭრით ვთქვათ: რუსეთის რევოლიუციას აქვს თავისი საკუთარი ლოღიკა; რომ ეს რევოლიუცია უნდა იქცეს ნაციონალურ-ბურჟუაზიულ რევოლიუციათ. ამიტომაც ყოველნაირი ცდა და მუშაობა იმ მიზნით, რომ პროლეტარიატისათვის გამოვძებნოთ მარშრუტი, რომლის წყალობითაც ის ვითომდა ასცილდება ამ საყოველთაო ნაციონალურ მოძრაობას, სრულიად განაცალკევებს და დაამარცხებს პროლეტარიატს. რა თქმა უნდა, რევოლიუცია ამ დამარცხებითაც ისარგებლებს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ დამარცხებებით უპირველეს ყოვლისა ისარგებლებს სწორეთ ის ლიბერალური ბურჟუაზია, რომლის წინააღმდეგაც მარშრუტებს ადგენენ და არა თვით პროლეტარიატი და მასსა. ჩვენ ერთ წამსაც არ უნდა ვიფიქროთ, რომ კადეტების პოლიტიკური ჰეგემონია დუმის დროს შედეგი იყო ბოიკოტის ტაქტიკის. შეერთებული პროლეტარიატი უნდა იბრძოდეს იმ პოზიციებზე, რომლისკენაც მთელ ხალხს აქვს თვალი მიპყრობილი და რომელსაც საყოველთაო

ითვლებოდა სანტენდანტის უფროსით.

**მებრძოლ ორგანიზაციის დატუსაღება.** „სკოდნას" სიტყვით პეტერბურგის პოლიციის აგენტები შემძვრალან მებრძოლ ორგანიზაციებში და მეთაურის მ. ჯ-ვის დატუსაღებით ხელში ჩაუგდიათ ორგანიზაციის წევრების სია, რომლითაც ბევრი პირები დაუტუსაღებიათ

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დაუსრულებია თავისი პროგრამა**, რომელსაც თურმე არჩევნების წინადღეებში გამოაქვეყნებენ. პროგრამაში ის აზრი იქნება გატარებული, რომ მთავრობა უთუოდ განახორციელებს 17 ოქტომბრის მანიფესტს, მაგრამ ამასთანავე ის ცდილობს ზოგიერთი ელემენტები გაამრავლოს სამშობლო მხარეშიო.

**ტობოლის გუბერნიაში გადასახლებულთა** გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ხშირათ სწერენ რუსულ გაზეთებში. „სიბ. ლისტ." სიტყვით აღნიშნულ გუბერნიაში 60 კაცამდეა გადმოსახლებული, რომელთა უმეტეს ნაწილს ქართველები შეადგენენ. გაზეთის სიტყვით გადასახლებულნი მეტის-მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. სახელმწიფო დახმარება თითეულს თვეში 1 მ. 50 ეძლევათ და ამ ორიოდ გროშით რას გააწყობ, როცა ისეთ საჭირო ნივთებს, როგორც არის ნავთი, შაქარი და სხ. ორი წილი ფასი აძევს.

**კრონშტადტის სატუსაღოდან** გაქცეული მატროსები, როგორც გაზეთები იუწყებიან, საზღვარზე გადასულან.

**ახალი სალდათები.** ვიბორგის მოწოდებით დაშინებული მთავრობა განსაკუთრებულის სისასტიკით მოეკიდა სალდათების მოწვევის საქმეს. მიუხედავათ ამისა ახალმა სალდათებმა ბევრგან დაანახვეს მთავრობას თავისი „ერთგულება". ცარიცინში კენჭის ამოღების დროს სალდათებმა „მარსელიოზა" და სხვა რევოლიუციონური სიმღერები შემოსძახეს. რასაკვირველია, გაჩნდა პოლიცია „წესიერების" აღსადგენათ. სიედოგაში, სასალდათოთა შორის მოწოდებები გაავრცელეს. ერთი ჯარის კაცი დაიჭირეს.

**შიმშილობა რუსეთში:** რუსეთის სოფლებში საშინელი შიმშილობაა. სიმბირის მაზრაში ბევრ ოჯახს კარტოფილის გარდა საჭმელი არაფერი არ მოეპოვება. ადმინისტრაცია დახმარების მაგიერ დასცინის გლეხებს: ჯერ ყველაფერი გაყიდეთ, რაც გაგაჩნიათ და მერე მოდით დახმარების სათხოვნელათო. და მართლაც საწყალი გლეხები ყველაფერს ყიდიან. ასეთი ამბები მოდის სამარის მაზრიდანაც. გლეხები ცხენს 12 მანეთათ ყიდიან, ხარს—5 მანეთათ, იმდენათ გაჭირვებულია მათი მდგომარეობა. ბევრ სოფელში სამარის გუბერნიაშა გლეხები ფქვავენ რკოებს და იმით იკვებებიან... ერთი სიტყვით საშინელი მდგომარეობაა.

### პარტიის ცხოვრებიდან

გაზეთების სიტყვით პეტერბურგში უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ბუნდისტებმა გამართეს რამოდენიმე დისკუსია (კამათი) დუმაში არჩევნების შესახებ. გამოირკვა ორი მიმდინარეობა: ზოგის აზრით საჭიროა, რომ იმ ადგილებს გარდა, სადაც იმედია, რომ გავლენ ს.-დემოკრატების კანდიდატები, შესდგეს საზოგადო სია კადეტებთან ერთათ. სხვები არ არიან პრინციპიალურათ წინააღმდეგი კადეტებთან შეთანხმების, მაგრამ წინადადებას იძლევიან გადასდონ ის სიების გამოცხადებამდის. უკანასკნელების მიზანია არჩევნების პირველი სტადია საკუთარი ძალით გაატარონ.

მაგრამ ორივე მხარე თანახმაა იმაში, რომ საჭიროა ეხლავე აეხსნას პროლეტარიატს ლიბერალურ პარტიებთან შეთანხმების საჭიროება, რომ ეს პროლეტარიატისთვის მოულოდნელი არ დარჩეს და ხელი არ შეუშალოს მის კლასობრივ განვითარებას.

დისკუსიებზე ერთხმათ მიიღეს ბუნდის ცენტრალურ კომიტეტის წინადადება—გადაიდოს საარჩევნო კამპანიისათვის ერთი დღის ხელფასი.

—

ბაქოს ორგანიზაციამ გამოსცა მოწოდება მოქალაქებისადმი არჩევნების შესახებ. ორგანიზაცია მოუწოდებს მოქალაქეებს ყურადღებით მოეპყრან დუმაში არჩევნების საქმეს და არ დაკარგონ თავისი საარჩევნო უფლება.

—

ნიჟნი ნოვგოროდში სოც.-დემ. ადგილობრივმა ორგანიზაციამ გამოუშვა მოწოდება არჩევნების შესახებ: მოწოდებაში სწერია;

მოემზადეთ მოქალაქენო!

დაუყოვნებლივ ჩაეწერეთ ამრჩევლებათ. გახსოვდეთ, რომ იმ სასწორზე, რომელზედაც დადებული იქნება რუსეთის ბედ-იღბალი, ბევრს ნიშნავს თვითეული შეგნებული მოქალაქის ხმა. დიჩქარდით, მოქალაქენო! სამშობლო თქვენ გიცდის.

—

კოსტრომის კომიტეტი შეეკითხა ორგანიზაციაში მყოფ ყველა მუშებსა კადეტებთან ბლოკის შეკვრის შესახებ, უმეტესობა მუშებისა ბლოკის წინააღმდეგია.

მოსკოვის მენშევიკების ჯგუფმა გამოსცა კრებული სტატიებით მიმდინარე კითხვების შესახებ, კრებულის სახელია:

„პოლიტიკური მდგომარეობა და ტაქტიკური საკითხები".

---

ნაციონალური მნიშვნელობა აქვს მოპოებული; პროლეტარიატმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ პოლიტიკურ კამპანიებში, რომელნიც იპყრობენ მთელი ხალხის ყურადღებას; მაგრამ ყოველივე ეს უნდა მოიმოქმედოს მან არა იმისთვის, რომ ჩაეფლოს და გაითქვიფოს საყოველთაო ნაციონალურ მოძრაობაში, არამედ იმისთვის, რომ გააფართოვოს ამ მოძრაობის ჩარჩოები, დაასვას მას თვისი ბეჭედი და გამოიყენოს იგი თვისი პოლიტიკური მიზნებისათვის, პროლეტარიატის და მთელი მასსის ინტერესებისათვის.

ჩვენ ძლიერ კარგათ ვიცით, რომ, რა გზითაც უნდა წავიდეს რევოლიუცია გამარჯვებისაკენ და თუ ის მიდის კიდეც ამ გამარჯვებისაკენ, ცხადია, იგი უსათუოთ უნდა შეეჯახოს ძველ რეჟიმს; ის აქ ვერ ასცილდება სახალხო აჯანყებას და პროლეტარიატი ამ აჯანყებაში უმთავრეს, ყველაზე უფრო აქტიურ, როლს ითამაშებს. ამიტომაც ჩვენ უნდა ვემზადებოდეთ აჯანყებისათვის, მაგრამ, ეს აჯანყება ნაყოფიერი იქნება და გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა მას წარმოშობს საყოველთაო ეროვნული ბრძოლა ძველ რეჟიმთან, როცა ეს ბრძოლა მიაღწევს განსაზღვრულ ხარისხამდე, როცა მას ამა თუ იმ სახით მხარს დაუჭერენ საზოგადოების სხვადასხვა კლასები, როცა აჯანყებას მიეხმარებიან საზოგადოების ძალების ნდობით მოსილი ავტორიტეტიანი ორგანიზაციები, როცა ის დარუდნობილი იქნება რომელიმე საყოველთაო ნაციონალურ პოლიტიკურ ცენტრზე, ისეთ ცენტრზე, რომელიც ხალხის თვალში დაიჭერს თვითმპყრობელობის ადგილს. მაგრამ ასეთ შემთხვევაში პროლეტარიატმა საკმაო გავლენა უნდა მოიპოვოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრების ყველა სფერაში და საზოგადოების ყველა კლასებში, რომ აჯანყება გამარჯვებით გათავდეს და შესაძლებელი გახდეს გავითვალისწინოთ ამ გამარჯვების ნაყოფი. და თუ აუცილებელია, რომ პროლეტარიატმა ასეთი გავლენა მოიპოვოს, ჯერ უნდა უარვყოთ ის მავნებელი ცრუმორწმუნეობა, ვითომ პროლეტარიატმა ხელი უნდა აიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მასსიურ მოქმედებაზე და შემოინახოს თვის ძალღონე, სანამ არ დადგება „დიდი ისტორიული დღე" და გადამწყვეტი ბრძოლის წამი; პროლეტარიატმა რომ სათანადო გავლენა მოიპოვოს საჭიროა თავი დავახწიოთ იმ დამღუპველ შემცდარ აზრს, ვითომც პროლეტარიატის დამოკიდებულება საზოგადოების სხვა ელემენტებთან უნდა გამოიხატოს მხოლოდ სამხედრო მორიგებაში და სამხედრო ბლოკებში. აი სწორედ ეს ცრუ შეხედულება უწყობს ხელს იმ სამწუხარო მოვლენას, რომ პროლეტარიატი ბურჟუაზიული რევოლიუციის იარაღის როლს თამაშობს და მისი სამხედრო გამოლაშქრება ყოველთვის ლიბერალურ ჰეგემონიის უებარ საშუალებათ იქცევა ხოლმე. სწორედ ეს ამყარებს და ამაგრებს იმ მდგომარეობას, რომელიც დიდი ხანია უნდა შეცვლილიყო. კმარა რევოლიუციის ისეთი გამარჯვება, რომელსაც პროლეტარიატი თვისი საკუთარი დამარცხების ფასათ ყიდულობს.

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი მისცეთ შემდეგს:

ჩემამდე მოაღწია ხმებმა, თითქოს მანთაშევისა და კომპ. გამგეობას სურდეს თავის პირველ ქარხანაში მუშაობის გაფართოება და თითქოს მე მიმეწეროს წერილი გამგეობისათვის და მეჩიოს ამ უკანასკნელისათვის, რომ ეს არ ქნან (ე. ი. თითქოს საქმის გაფართოების წინააღმდეგი ვყოფილიყო). ვუწოდებ-რა ასეთი ხმების გამავრცელებელთ ხულიგანებს და „პრავაკატორებს" წინადადებას ვაძლევ ამ საქმეში დაინტერესებულ პირთ, გამოიკვლიონ ეს საქმე სამედიატორო სამართლის საშვალებით და მტყუანები გამოაცხადონ ბეჭდვითი სიტყვით.

პატივისცემით ბუღალტერი ბათუმის განყოფილების „ა. ი. მანთაშევისა" და კომპ. ქარხნის კანტორისა

კ. ხარატურიანცი.

## დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

11 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებულია ცნობები შინაგან სესხის გამოშვების შესახებ. სააგენტოს დაევალა გამოაცხადოს, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია.—ღამით 10 ნოემბერს მეჩექმე კირნერის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 11 ყუმბარა, ამათში რვა გაუტენელი; 1800 პატრონა, თოფები და რევოლვერები. დაიჭირეს სახლის პატრონი და ორი მისი მდგმური.—საღამოს ვასილიევის კუნძულზე სამმა შეიარაღებულმა უცნობმა გაძარცვა საზღვაო არტილერიის პოლკოვნიკი ბარხოტკინი; წაართვეს 300 მანეთი. სერგიევის ქუჩაზე გაძარცვეს შიტტის ღვინის სარდაფი. წაიღეს 135 მანეთი.—აღესის გრადონაჩალნიკის შეკითხვაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა: პირველ საარჩევნო სიებში უნდა შეიტანონ ისეთი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების პატრონები, რომლებსაც უძრავი ქონება აქვთ, მეორე დამოენის „ნადსმოტრშჩიკებს", როგორც დაბალი მოხელეებს საარჩევნო უფლება არ აქვთ.

**ტამბოვი.** 9 ნოემბერს მოხდა მიწის მოწესრიგების შესახებ კრება. რომელსაც მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლებიც დაესწრო. კრებამ გადასწყვიტა კომისიებმა მონაწილეობა მიიღონ იმ 15000 დესეტინა მიწის ლიკვიდაციაში, რომელიც ბანკს შეუძენია და დახმარება გაუწიონ გლეხებს სანადელო მიწების სარგებლობაში.

**პეტერბურგი.** კირხნერის გაჩხრეკის დროს სხვათა შორის კიდევ აღმოაჩინეს ბარიკადის გეგმა, მოსკოვის ქუჩებისთვის შედგენილი.

**სტამბოლი.** გუშინ სომხების აფთიაქის ახლო, სადაც მრავლათ ცხოვრობენ სომხები, ყუმბარა გასქდა. მსუბუქათ დაიჭრა იქვე მიმავალი საიდუმლო პოლიციის უფროსი. სისხლის კვალით ერთ სომხის ბინაზე მივიდენ. ღამით ბევრი სომხები დაიჭირეს. ვერ გამოურკვევიათ რა პირობებში მოხდა აფეთქება.

**ბაქო.** „დაშნაკცაკანებმა" მოწოდება გამოუშვეს ექსპროპრიატორების წინააღმდეგ.

**ყაგიზმანი.** დიგორში სროლა შესწყდა. ქურთები და იეზიდები მორიგდენ. კაზაკები დაბრუნდენ. მოთავე დოსტანბეკოვი დაიჭირეს.

**ბაქო.** რეალურ სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეებმა თფილისის მოსწავლეების დეპეშის გამო გამართეს თათბირი, შესწყვიტეს სწავლა და სახლებში წავიდენ.—დაიჭირეს 8 მძარცველი.—პეტერბურგში მომხდარ თათბირის შესახებ ყოფილ დელეგატებმა სთხოვეს გენერალ-გუბერნატორს ნება ესცეს მათ მოხსენებები წაუკითხონ ამ სიეზდის შესახებ ბაქოს მუშებს.

**ხარკოვი.** სადგურ ზნამენკაზე საქონლის მატარებლის ვაგონიდან მოიტაცეს ორი ყუთი რევოლვერების პატრონები.

**ვარშავა.** 9 ნოემბერს ვიშკოვში სიკვდილით დასაჯეს ჩეხოვსკი, ლისკევიჩი და ზიეულკოვსკი, შეიარაღებულ თავდასხმისთვის.

**ეკატერინოსლავი.** დახვრიტეს ექვსი კაცი მძარცველთაგანი.—მოკლეს უბნის ზედამხედველი ბარაიკევიჩი და გოროდოვოი ზიუბანენკო.

**პიატიგორსკი.** სამხედრო-საველე სასამართლომ გაამართლა ძმები ხუბიევები.

**პეტერბურგი.** ოფიციალური. „კანონთა კრებულში" გამოქვეყნებულია უმაღლესი უკაზი სენატისადმი, გლეხების მიწის მფლობელობის და მიწების მოწესრიგების შესახებ, რომელშიც სხვათა შორის ნათქვამია, რომ 1905 წლის 3 ნოემბრის მანიფესტის ძალით სანადელო მიწების გამოსასყიდი ფასი გლეხებს 1907 წლის 1 იანვრიდან აღარ გადახდება. ამ დროდან აღნიშნული მიწები განთავისუფლდება გამოსასყიდ ვალის ძალით მასზე დადებულ განსაზღვრისაგან და გლეხებს უფლება ექნება თავისუფლათ გამოვიდენ თემებიდან და სანადელო მიწები საკუთრებათ შეიძინონ. ნამდვილათ ყველა ამის განხორციელება ძნელი იქნება, რადგან შეუძლებელი იქნება განსაზღვრა რამდენი მიწა უნდა მიეცეს თემებიდან გამოსულ ოჯახებს. იმ ოჯახებს, რომლებსაც მიეცემათ სათემო მიწების ნაწილი კერძო საკუთრებათ, უფლება აქვთ ისარგებლონ საბალახოთი, ტყით და სხვა. სათემო მიწების კერძო საკუთრებათ მიცემის შესახებ მოთხოვნა წარედგინება სოფლის სასამართლოებს, რომლებიც ვალდებულნი არიან, ყრილობის დადგენილებით ერთი თვის განმავლობაში უჩვენონ ის მიწები, რომლებიც საკუთრებათ გადადის. თუ ოცდაათი დღის განმავლობაში ყრილობა არ დაადგენს რამეს, უფროსი ვალდებულია თვითონ თავის განკარგულებით მოიყვანოს სისრულეში ყველაფერი. ზემო აღნიშნული წესები ეხება ყველა გლეხებს და სისრულეში მოდის გლეხების ყრილობების დადგენილებით, რომელსაც ესწრება არა ნაკლებ ორი მესამედისა.

**პეტერბურგი.** საოლქო სასამართლომ როტმისტრ მაკაროვს, რომელსაც მატარებლით ბელენცოვი მოჰყავდა ორი თვით ჰაუპტვახტში დატუსაღება გადაუწყვიტა და ორ ჟანდარმს 14 დღით. იმავე სასამართლომ გლეხ სკრომანს $4^1/_2$ წლით კატორგა გადაუწყვიტა ფინლიანდიის სადგურზე მოდარაჯე სალდათისთვის არა ლეგალურ ლიტერატურის გადაცემისთვის.

**ადესა.** გლეხ კარნიჩენკოს და რუსტოვოიტის სამხედრო-საველე სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა თავდასხმისთვის.

**ირკუტსკი.** კულტუკსკის ფოსტის განყოფილება გაცარცვეს საღამოს ექვს საათზე განყოფილების უფროსის და სამი მოხელის თვალ-წინ. მძარცველები ათი იყო. მძარცველებმა გაქცევის დროს სროლა ასტეხეს. ექვსი მათგანი პოლიციამ დაიჭირა. მათ აღმოაჩნდათ ფულების ნაწილი.

**პოლტავა.** ღამით გაცარცვეს ლუბნის ეკლესია. წაიღეს 2000 მანეთის ნივთები და ფული. ეჭვით რამდენიმე კაცი დაიჭირეს.

**ადესა.** სტუდენტებზე თავდასხმის გამო სასტიკი გამოძიებაა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე კლემანსომ განაცხადა, რომ საეკლესიო ქონების აღწერა სამ თვეში გათავდება. ის აფიცრები, რომლებმაც დახმარება არ გაუწიეს სამოქალაქო მთავრობას, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

**ლონდონი.** პრემიერმა განუცხადა დეპუტაციას, რომ მთავრობას უჭირს გამონახოს წყარო მოხუცებულთათვის დანიშნულ პენსიისთვის საჭირო ხარჯების დასაფარავათ. უკანასკნელი ცნობებით ინგლისში სულ 1400 კაცია 65 წლის და მეტი. კვირაში რომ თვითეულს 5 შილინგი მისცენ, ამისთვის საჭირო იქნება წლიურათ 18 მილიონი გირვანქა სტერლინგი. რადიკალები თხოულობენ შემოსავალზე დანიშნულ გადასახადს მოუმატონ, კონსერვატორები—დამხმარე საზოგადოებების ხარჯზე სავალდებულო დაზღვევის შემოღება.

**მელილია.** მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს ყოველ დღე შეტაკება უხდებათ. მოსალოდნელია გადამჭრელი ბრძოლა.

12 ნოემბერი:

**ვარშავა.** ოფიციალურ ცნობით მარშალკოვის ქუჩაზე დაეჭირეს პოდვალში დაღუპვის ს.-დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შტაბი წევრი. ერთ ბინაზე იპოვნეს 11,900 მარკა, 4300 ფულის საგროვებელი ფურცლები, ბეჭდები, კანტორის პრესი, 22 შტემპელი, პარტიის ანგარიშა და მრავალი რევოლიუციონური გამოცემები. მუშა პენსკის ბინაზე ყუმბარამ იფეთქა. იპოვნეს თავის ქალის ძვლის ნატეხი და სხეულის ნაფლეთები. დამშვებულებას გაპარება მოასწრეს.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება ფოსტის შესახებ: ახალ განკარგულებამდე, შეწყვეტილია მთელი იმპერიის ყველა საფოსტო დაწესებულებებში ფულიანი და ფასიანი პაკეტების მიღება, აგრეთვე ვაგონების სამმართველოებში და რკინის გზის სადგურებზე.—11 ნოემბერს, დილით ნევაზე გაფიცულმა მუშებმა დაინახეს ერთი თავიანთი ამხანაგი ანტიპოვი, რომელმაც არ მიემხრო გაფიცვას, ჯერ ქვები ესროლეს და შემდეგ ცეცხლში ჩააგდეს. ანტიპოვი ძლ[...] დაშავდა ცეცხლისაგან. პოლიციამ დაიჭირა [...]დენიმე დამნაშავე.

**ბაქო.** სასტუმრო გრანდოტელის ქვეშ [...] რძევეში დაიჭირეს რვა კაცი ტერორის[...] ჯგუფ „ანარქიას" წევრები, რომლებსაც ძარ[...] გლეჯას და მკვლელობას აბრალებენ. სა[...] დახურეს.

**კოვნო.** გუშინ საღამოს სახელმწიფო ა[...] დუქანში შევიდა შვიდი უცნობი. გაიტაცეს 30[...] და გაიქცნენ.

**კიევი.** კანევსკის მაზრაში გუბერნ[...]ტორი და აუხსნა გლეხებს, რომ შემარ[...] პარტიების წამოყენებული მოთხოვნების შეს[...]ლება შეუძლებელია.

**სოჩი.** სამხედრო-საველე სასამართლომ [...] ვრეტა გადაუწყვიტა უგრელიძეს, და კრ[...] თავაძეს ოცი წლის კატორღა. განაჩენი სის[...]ლეში მოიყვანეს.

**ბუდაპეშტი.** მოხდა დელეგატების სიუ[...] იმპერატორის სიტყვაში ნათქვამია, რომ [...]რეთ პოლიტიკა იხელმძღვანელებს მეგობა[...] სახელმწიფოებთან კავშირით, რუსეთთან შეთ[...] ხმებით ბალკანეთის კუნძულის საქმეების [...] სახებ და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმ[...] აუცილებლობით.

**ტვერი.** ზატმანის ნაწილში გაჩხრეკის დრ[...] დაიჭირეს ექვსი კაცი რევოლიუციონერ-ექსპ[...]პრიატორები. აღმოაჩინეს რვა რევოლვ[...] ბევრი პატრონები, და მოსკოვის პლანი.

**გროდნო.** რინოხნი პერეულოკში დევ[...] სახლის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 4 [...] ტილიანი ყუმბარა, ხუთი გართბკა პატრონ[...] პასპორტის ბლანკები და პროკლამაციები.

**პეტერბურგი.** უმაღლესათ ებრძანა დაა[...] სდეს სასამართლოს ნაწილი პეტერბურგის [...] მხედრო ოლქის გვარდიის ჯარის და მოსკო[...] და კიევის სამხედრო ოლქების შტაბებთან.

**ადესა.** სინაგოგების და სამლოცველო [...] ხლების სასულიერო გამგეობებმა დაადგ[...] მიემხრონ მშვიდობიან განახლების პარტიას [...] უქადაგონ ებრაელებს ამ პარტიის მომხრ[...]

**ბათომი.** გენერალ-გუბერნატორის და ნამ[...] ტნიკის განკარგულებით სოტნიკ კისლიცი[...] მკვლელობის გამო 10,000 მანეთით დაჯარ[...] რესტორანების, სარძევეების და სხვა დუქნებ[...] პატრონები.

**ბერლინი.** პოზნანიდან იტყობინებიან, რ[...] მოწაფეების გაფიცვამ უწესოება მოახდ[...] თავს დაესხნენ მასწავლებლებს და სცემეს. მო[...] ზიცევში სცემეს ჟანდარმს. სოფლის მამას[...]ლისი არ დაეთანხმა ჟანდარმს.

**იაროსლავლი.** შეკრებილ ცნობებიდან ჩ[...] რომ იაროსლავლის გლეხებს სახელმწიფო შ[...] ნახველ-გამსესხებელ კასებში შენახული აქვთ 2[...] მილიონ მანეთზე მეტი.

რედაქ.-გამომცემელი **ი. ოტიაშვილი.**


# განცხადებანი

წიგნების მაღაზია

## „განათლება"

**(ОБРАЗОВАНIЕ)**

მიხეილის ქ. № 78.

**ბებელი.** მსოფლიო გამოცანები . . . 80 კაპ.
**ა. გოფფმანი.** ათი მცნება და მდიდარი კლასები . . . . . 20 კაპ.
**გ. დიცგენი.** რელიგია სოციალ-დემოკრატისა . . . . . . . . 12 კაპ.
**ვ. გუმპლოვიჩი.** ქორწინება და თავისუფალი სიყვარული . . . 8 კაპ.
**ფ. ლასსალი.** I, II, III სულ . 3 მ. 75 კაპ.
**ე. რენანი.** ცხოვრება იესოსი. . . . 35 კაპ.
**მიხილო.** თარგმანი კრილოვისა . . . . 40 კაპ.
**ბებელი.** დედაკაცი და სოციალიზმი . . . . . . . . . 75 კაპ.
**ტიპლოვი.** იაკუტის პროტესტის ისტორია . . . . . . 1 მ. „ „ კაპ.
**ბლოხი.** ისტორია გერმანიის რევოლიუციისა . . . . . 1 მ. 20 კაპ.
**ვები.** თეორია და პრაქტიკა ტრედუნიონიზმისა 2 ტომი . 5 მ. „ „ კაპ.
**მარქსი.** კაპიტალი . . . . . 2 მ. 50 კაპ.
**ტუნი.** ისტორია რუსეთის რევოლიუციისა. პლეხანოვის წინასიტყვაობით . . . . . . . 50 კაპ.
**მიხილო.** მუშათა კლასის მდგომარეობა უმთავრეს სახელმწიფოებში . . . . . . . . 1 მ. „ „ კაპ.
**კაუტსკი.** მარქსის ეკონომიური მოძღვრება (პოპულიარიზაცია). პირველი ტომი . 45 კაპ.—30 კაპ. მეორე და მესამე ტომები თითო . . . . . . . . . 35 კაპ.
და ბევრი სხვა ახალი წიგნები.

მაღაზია ყოველ კვირაში ღებულობს ახალ ახალ წიგნებს რუსეთის სტახტო და სხ. ქ[...] დაქებიდან.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" თფილისი, მიხეილის ქუჩა, № 65.